ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 13 აგვისტო, 2013 | №190 (6191) | ფასი: 30 თეთრი

## ვანო მერაბიშვილმა 12 კილო დაიკლო

გვ.3

ადვოკატი მის გათავისუფლებას ითხოვს

ვანო მერაბიშვილი: „არასოდეს მიფიქრია, რომ 26 მაისის აქციის დაშლაზე თავის მართლება მომიწევდა“ გვ.4



# რატომ გადადგა ზურაბ ხარატიშვილი ცესკოს თავმჯდომარეობიდან

გვ.5



„ხარატიშვილის თანამდებობიდან გადადგომის მიზანი საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაციაა“ გვ.2

## ივანიშვილმა და ნორლანდმა სააკაშვილს დასცინეს

გვ.2

რაზე მოიხადა ბოდიში უსუფაშვილმა




## ბიძინა ივანიშვილი: „ხარატიშვილი წავიდა, ვისაც სურვილი აქვს, გაჰყვეს“

გვ.2

## ნანა კაკაბაძე: „ვეტო რომ ვეტოა, სააკაშვილს ისიც კი ვეღარ დაუდია“

გვ.4





## „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის პიარსამსახურს შალვა რამიშვილი უხელმძღვანელებს

გვ.2

## ათავისუფლებენ თუ არა საჯარო მოხელეებს პოლიტიკური ნიშნით

გვ.5



## ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილს თილისმად საკუთარი ავტოკალამი გადასცა

გვ.4

## ძალოვანთა მედლები ოლიმპიადიდან

ქართველმა პოლიციელებმა 17 მედალი ჩამოიტანეს



გვ.9

## „ხონში დავით ბაქრაძის მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლას ცდილობდნენ“

გვ.2



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 რუსეთის პროვოკაციების შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

2 საქართველოს ხალხთა ასამბლეა დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნებას ითხოვს

7 მაია მიმინოშვილი: „სექტემბრიდან პედაგოგთა სერტიფიცირების პროგრამის სრულყოფა დაიწყება“

6 შსს-ს თანამშრომლებმა დაკარგული პოლონელი ტურისტები იპოვეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ივანიშვილმა და ნორლანდმა სააკაშვილს დასცინეს

## რაზე მოიხადა ბოდიში უსუფაშვილმა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ბედნიერების ხანა დადგა. ჩვენს ტერიტორიულ წყლებში ამერიკული ხომალდი შემოვიდა. რომელსაც ერი დიდი სიხარულით დახვდა. ამგვარი დახვედრით ბედნიერმა კაპიტანმა საზეიმო მიღება მოაწყო და საქართველოს მთელი მთავრობა დაპატიჟა. ჩვენებურებმა ამერიკელებს ხათრი ვერ გაუტეხეს და მიღებაზე ცოლ-შვილთან ერთად გამოცხადდნენ.




ამერიკულ ხომალდზე ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილიც შეხვდნენ. საქართველოს პრეზიდენტს გულზე ყაყაჩო ჰქონდა დაბნეული. ყაყაჩოებს გლოვის დღეებში იბნევენ ხოლმე გულზე. ეს ტრადიცია აგვისტოს ომის შემდეგ დამკვიდრდა. ივანიშვილმა შესაძლოა არ იცოდა ყაყაჩოს ამბავი, ანდა სააკაშვილის გაშაყუირება მოინდომა.

პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა, რას ნიშნავდა მიხეილ სააკაშვილის გულზე დამაგრებული წითელი ყაყაჩოს სიმბოლო.

– რა გაქვს ეგ გულზე, სად იშოვე? რა არის ეს, რას ნიშნავს, – იკითხა ბიძინა ივანიშვილმა.

– გაშოვნინებ. მოგიხერხებ. ეს არის მახსოვრობა ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების, – უპასუხა მიხეილ სააკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას კი სააკაშვილმა ივანიშვილს მიმართა და იმედი გამოთქვა, რომ ის არ არის საქართველოს მტერთან შეკრული.

– პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ჩვენ სიმშვიდით ვხდებით იმას, რომ მავთულხლართები რამდენიმე ადგილას გადმოიწია. რა თქმა უნდა, იმ ხალხისთვის, ვისაც წაართვეს წყალი, საძოვარი, მიწა, ვენახი, ძნელია მათთვის, ამას მშვიდად შეხვდნენ და მე მათი მშვენივრად მესმის. მე ვიყავი განმუხურში, ამ წარმოუდგენლად ლამაზ, სამოთხის კუთხეში, სადაც ბოლო წლებში ასობით მილიონი ლარი დაიხარჯა ტურისტული ინფასტრუქტურის განვითარებაზე. რუსულ რუკაზე ეს საოცარი ადგილი მონიშნულია, როგორც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია. თუ რუსები შემდეგ ნაბიჯად გადმოწევენ, მავთულხლართებში მოიქცევენ ამ აყვავებულ განმუხურს, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი და მოქალაქე, ამას მშვიდად ვერ შევხედავ. რა თქმა უნდა, მე არავის არ მოვუწოდებ ომისკენ, მით უმეტეს რუსეთთან ომისკენ, მაგრამ ჩვენ ბევრად ნაკლები დრო უნდა ვხარჯოთ საერთაშორისო არენაზე ერთმანეთთან დასაპირისპირებლად. ყველამ ერთად ხელები უნდა ჩავკიდოთ ერთმანეთს იმისათვის, რომ მავთულხლართები მეტი აღარ იბმებოდეს ჩვენს ტერიტორიაზე, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მან მოისმინა პრემიერისგან, რომ რუსეთი აგრესორია და, როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ეს მისასალმებელია და სწორი თეზისია.

– მაგრამ, იმავე დროს გაიჟღერა, რომ ქართულ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ომზე. მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა პასუხისმგებლობაზე. რა თქმა უნდა, მე მეკისრება პასუხისმგებლობა და ყველა ჩვენგანს ეკისრება პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ჩვენი არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჰქონდა და აქვს რომელაშვილების ოჯახს, რომელსაც მე ვესტუმრე გლდანში, მისმა ოჯახმა მითხრა, რომ გრძნობენ პასუხისმგებლობას თავის დაღუპულ შვილზე და ისინი პასუხისმგებლობით განაგრძობენ საქართველოს სამასახურს. მე ვნახე გიორგი ანწუხელიძის დედა ქვემო ალვანში. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ როგორი ქალბატონია და როგორ პასუხისმგებლობას გრძნობს. ამაყად მომიყვა თავისი ოჯახის წევრებზე და ერთხელ არ დაუკვნესია. მე კატეგორიულად უარვყოფ, რომ საქართველოს რაიმე პასუხისმგებლობა აქვს 2008 წლის ომზე. სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ ბატონო ბიძინა, იმედია თქვენ დაუფიქრდებით ამ საკითხს, იმიტომ, რომ ვინც ამას ამბობს, ან არ უყვარს საქართველო, ან აქვს სხვა სახის პრობლემები, ან არის შეკრეული საქართველოს მტერთან. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ არ ხართ შეკრული საქართველოს მტერთან, იმედი მაქვს თქვენ აცნობიერებთ თქვენ პასუხისმგებლობას საქართველოს მომავალზე, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის გამოსვლას ბიძინა ივანიშვილი და რიჩარდ ნორლანდი ძალიან უცნაურად უსმენდნენ. ორივე მათგანი სიცილით იგუდებოდა.

გემზე გამართულ მიღებას პარლამენტის თავკაცი დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა. მისი თქმით, პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებით ბოდიშის მოხდა მოუწია

– სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტმა დღეს კიდევ ერთხელ შეძლო, დაერღვია ყველა წესი და რიგი ასეთი შეხვედრების. ოფიციალური გამოსვლების შემდეგ მეც მომიწია გარკვეული მობოდიშება ჩვენი სტუმრებისთვის, ვინაიდან ასეთ ღონისძიებებს თავისი ფორმატი აქვს, თავისი თემატიკა აქვს. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი ამ ყველაფერს დიდი ხანია აღარაფრად დაგიდევთ. ამიტომ, მან სრულიად უადგილო თემები წამოწია, მაგრამ ჩვენ ამას მიჩვეული ვართ, უბრალოდ, არ ველოდი, რომ ჩვენი სტუმრების თანდასწრებით ამას გააკეთებდა, მაგრამ მე მგონი უკვე ყველა გაგებით ეკიდება ასეთ მოვლენებს, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა

სააკაშვილის გამოსვლაზე კომენტარი აშშ-ს მხიარულმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმაც გააკეთა.

– პრეზიდენტი ემოციურად არის განწყობილი მიმდინარე მოვლენების მიმართ პრემიერს კი, საკუთარი ხედვა აქვს, – განაცხადა ელჩმა.

ამერიკულ გემზე პრეზიდენტთან შეხვედრას გუშინ კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი. ამასთან დაკავშირებით მოკლე განცხადება პრემიერმა სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში, კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის შემდეგ გააკეთა.

– პრეზიდენტთან გუშინდელი შეხვედრა უნდა გენახათ, შეწუხდა მთელი ხალხი და მეც შევწუხდი, – აღნიშნა პრემიერმა.

## „ხარატიშვილის თანამდებობიდან გადადგომის მიზანი საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაციაა"

„საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელის კახა კახიშვილის განცხადებით, ცსკ-ის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის თანამდებობიდან გადადგომის მიზანი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაციაა. ამის შესახებ კახიშვილმა „პირველს" ხარატიშვილის მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას განუცხადა.

„მე ველოდი, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რადგან ყველაფერი იქით მიდიოდა. ცსკ-ის რამდენიმე წევრის




გადაგომასაც ველოდებოდი, რათა ამ არჩევნების დისკრედიტაცია მოეხდინათ. მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა ცსკ-ის თავმჯდომარეობის კანდიდატები ძველის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტიდან 15 დღის ვადაში უნდა შეარჩიოს. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი მიზანმიმართულად წარადგენს ისეთ კანდიდატებს, რომელსაც პარლამენტი არ დაამტკიცებს, რადგან ის გადაწყვეტილებებს არა ქვეყნის, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იღებს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა ვერ მიიღო გადაწყვწეტილება და არ დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან არც ერთი, მივიღებთ მოდელს, როდესაც არჩევნებს ჩაატარებს ხარატიშვილის მოადგილე დავით კირთაძე, მაგრამ საქმე ისაა, რომ კირთაძეს უფლებამოსილების ვადა ერთი წლის წინ ამოეწურა და ამ პოსტზე დე-ფაქტო მუშაობს. გამოდის, რომ არჩევნებს ჩაატარებს ის ადამიანი, რომელსაც დე-იურე ვადა აქვს გასული. ამდენად მიმაჩნია, რომ ზურაბ ხარატიშვილის გადგომის მიზანი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაციაა. „ქართულ ოცნებას" შეეძლო, ეს დროულად გაეთვალა და პრევენციული ღონისძიებები გაეტარებინა", – განაცხადა კახიშვილმა.

მისივე თქმით, რა განმარტებებიც არ უნდა გააკეთოს ხარატიშვილმა მისი გადადგომის მიზეზებთან დაკავშირებით, მისი ეს გადაწყვეტილება მაინც პოლიტიკური იქნება.

პირველი

## „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის პიარსამსახურს შალვა რამიშვილი უხელმძღვანელებს



„კოალიცია „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის პიარსამსახურს ჟურნალისტი შალვა რამიშვილი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ გუშინ მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ პირველ ღონისძიებაზე გახდა ცნობილი.

რაც შეეხება თავად საარჩევნო შტაბს, მას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე გაუძღვება.

გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დღეს სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევიდან დაიწყო.

ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

პირველი

## საქართველოს ხალხთა ასამბლეა დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნებას ითხოვს

საქართველოს ხალხთა ასამბლეა თბილისის საკრებულოს მიმართავს. როგორც ასამბლეის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 12 აგვისტოს, დიდგორობას, „ვარდების მოედანზე", იქ სადაც აღმართული იყო დავით აღმაშენებლის ძეგლი, „საქართველოს ხალხთა ასამბლეის", „ქართულ ოსური მისიის", ქართველ ჩოხოსანთა საზოგადოების, პარტია „თეთრებისა" და მეცნიერთა სადისკუსიო დარბაზის წარმომადგენლებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს თბილისის საკრებულოს.

განცხადებაში ნათქვამია: „ამ განცხადებას დიდგორზე გამგზავრების წინ ვაკეთებთ ზუსტად იმ ადგილზე, სადაც 1995 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ძეგლის ავტორებთან – მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილთან და არქიტექტორ ტონი კალანდარიშვილთან შეთანხმებით და თბილისელთა დიდი ნაწილის სურვილით აღიმართა დიდი მეფის ძეგლი. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა უგულებელყო რა ყოველივე ზემოთაღნიშნული, ძეგლი სხვა ადგილზე გადაიტანა, რითაც ჩაიდინა უკანონობა, გამოხატა ხალხისადმი უპატივცემულობა, მოიქცა უზნეოდ, ჩაიდინა მკრეხელობა. ჩვენ ვითხოვთ: პირველი – შეიქმნას კომისია საკრებულოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის თუ ვისი და რომელი გადაწყვეტილებით იქნა გადატანილი ძეგლი, რომელიც ამ ადგილზე აღმართული იყო საერო და სასულიერო კანონების სრული დაცვით. მეორე – აღდგეს სამართლიანობა და ძეგლი დაბრუნდეს იმ ადგილზე, სადაც ის აღმართული იყო და მოედანს ეწოდოს „დავით აღმაშენებლის მოედანი". განცხადების ავტორები მოითხოვენ საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთქვევაში გაიმართოს პლებისციტი, ან რეფერენდუმი ამ საკითხთან დაკავშირებით. განცხადება გუშინვე ჩაბარდა თბილისის საკრებულოს კანცელარიას.

მედიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილი: „ხარატიშვილი წავიდა, ვისაც სურვილი აქვს, გაჰყვეს"

ხარატიშვილი წავიდა, სხვებიც გაყვნენ, ვისაც სურვილი აქვს, – ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ცესკოს თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის თანამდებობიდან წასვლას.



„წავიდა და წავიდეს. ამათი გუნდის წევრია, რაღაც ინტრიგა ააგორეს კიდევ, მაგრამ ვერაფერს ვეღარ იზამენ, არაფერი აღარ მოხდება. ხარატიშვილი წავიდა, სხვებიც გაყვნენ, ვისაც სურვილი აქვს. ცუდ დროს წავიდა, არასწორ დროს წავიდა და ყველასთვის გასაგებია, რომ პოლიტიკურად კიდევ პატარა ინტრიგა ჩააგდეს, მაგრამ მაგათ აღარავითარი თამაში აღარ აქვთ", – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ აღარაფერი მოხდება, საქართველოს ვეღარავინ ააყირავებს. ყველაფერი იქნება დაგეგმილი და გეგმაზომიერად განვითარდება.

მედიანიუსი

## „ხონში დავით ბაქრაძის მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლას ცდილობდნენ"

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ვაშაძის განცხადებით, „ხონში, კოალიცია „ქართული ოცნების" პარტიის ოფისთან მობილიზებულია ხალხი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლას ცდილობს". ამის შესახებ ვაშაძებ გუშინ „ნაციონალური მოძრაობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.



„ხონში, „ქართული ოცნების" პარტიის ოფისთან მობილიზებულია ხალხი, რომელთა მიზანია, რომ ჩაშალონ დავით ბაქრაძის მოსახლეობასთან შეხვედრა, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ პრემიერის განცხადებას, რომ თითქოს ყველაზე საუკეთესო საარჩევნო გარემო ამ არჩევნების დროს უნდა ყოფილიყო. მე „ქართულ ოცნებას" კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ სჯობს დროულად, ნორმალურ საარჩევნო კალაპოტში შევიდეთ და მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ჩვენთვის ხელის შეშლას ნუ შეეცდებიან", – განაცხადა ვაშაძემ.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვანო მერაბიშვილმა 12 კილო დაიკლო

## ადვოკატი მის გათავისუფლებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის წონა, ეტყობა, კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. ცოტა ხნის წინ მის წონაზე განგაში ევროპარლამენტარებმა ატეხეს, გუშინ კი გახდომის მსურველებს მიხეილ მაჭავარიანმა დაუთუთქა ნერვები. დეპუტატმა პატიმრობაში მყოფი ნაპრემიერალი მოინახულა. იქედან გამოსულმა კი გვამცნო, მერაბიშვილს დაპატიმრების შემდეგ 12 კილოგრამი აქვს დაკლებულიო. ისე, საინტერესოა, რამდენი კილოგრამი მოიმატა მერაბიშვილმა ვარდების რევოლუციის შემდეგ? მანამდე ის, როგორც გამხდარი დეპუტატი, ისე გვახსოვდა.

უხარია თუ არა მერაბიშვილს წონის მოკლება, ვერ გეტყვით. მაჭავარიანი ამის გამო შეშფოთებული ჩანდა. სოზარ სუბარს რომ ჰკითხოს კაცმა, ვანო ვარჯიშობს და ასე დაიკლო წონაში. ეს განმარტება ციხეების შეფმა ევროპარლამენტარების შეცხადების შემდეგ გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ მაჭავარიანი ვანო მერაბიშვილთან ხელჯოხით შევიდა. მერაბიშვილს მან წინასაარჩევნო ამბები გააცნო, მოგეხსენებათ, რომ დაპატიმრებამდე მერაბიშვილი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი იყო. ის ამ თანამდებობას ახლაც იკავებს.

როგორც მაჭავარიანმა მერაბიშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, პარტიის გენერალური მდივნის მონახულების უფლება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისგან მიიღო.

მისივე თქმით, ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ მერაბიშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდეს, რადგან ის ზეგავლენას ვერავისზე ველარ მოახდენს.

— მერაბიშვილი არის ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი. მას აინტერესებდა, როგორ მიდის პარტიის საქმე, საარჩევნო კამპანია. მიმდინარე საქმეებზეც გვქონდა საუბარი და იმ საქმეებზეც, რომლისთვისაც ვანო დღეს არის პატიმრობაში. ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ის იყოს გამოშვებული. ის ვერანაირ ზეგავლენას ვერავისზე ველარ მოახდენს. როგორც პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კაჩინსკიმ და სხვა უცხოელმა სტუმრებმა აღნიშნეს, დღეს არანაირი საფუძველი, რომ მერაბიშვილი იყოს ისევ ციხეში, არ არსებობს. მორალურად ძალიან კარგად არის და ის მზადაა, სასამართლოზე დაამტკიცოს ბრალდებების აბსურდულობა, მაგრამ ფიზიკურად დაახლოებით 10-12 კილო აქვს დაკლებული. ექიმიც რამდენჯერმე ყოფილა მასთან, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

ვანოს მნახველი მიხეილ მაჭავარიანი ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის საკითხსაც გამოეხმაურა. დეპუტატი ზურაბ ხარატიშვილის გადაწყვეტილებით გაოგნებულია.

— თუ რამე გამაოცებდა, იქნებოდა ეს... არ ვიცი, რა მოხდა და რატომ მიიღო ხარატიშვილმა ეს გადაწყვეტილება, რა არგუმენტები ჰქონდა მას ამისთვის, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

ახლა ისევ ვანო მერაბიშვილს დავუბრუნდეთ. ყოფილი პრემიერის ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო ყოფილი შს მინისტრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან გირაოთი მის გამოშვებას ითხოვს.

ჩივიაშვილმა გუშინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით მომზადებულ დასკვნაზე ისაუბრა, რომელიც 2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებას ეხება.

— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მიტინგის დაშლასთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილს წარდგენილი აქვს ბრალდება, რომლის ფორმულირების მიხედვით, მან დაამტკიცა მიტინგის დაშლის არასწორად შედგენილი გეგმა და გასცა კანონშეუსაბამო დავალებები. აღნიშნული დასკვნა 2011 წელსვე გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ჩვენ არაერთხელ მივმართეთ შსს-ს, რომ დაცვას ჰქონოდა წვდომა აღნიშნულ დასკვნასთან, გვქონოდა შესაძლებლობა, გვენახა, რა ეწერა მასში, მაგრამ მიუხედავად არაერთი თხოვნისა, ეს დასკვნა არ გადმოგვცეს აქამდე. მხოლოდ ახლახან მოხერხდა მთავარი პროკურატურის მიერ მისი გადმოცემა. ვნახეთ და მასში ყველა კითხვაზეა პასუხი გაცემული, თუ რა მოხდა 2011 წლის 26 მაისს. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, აბსოლუტურად სწორად იყო დაგეგმილი დაშლის გეგმა, აბსოლუტურად სწორად იყო მინისტრის მიერ იგი დამტკიცებული და განხორციელებული. ეს მოცემულობა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ბრალდებას აქვს, სულ მცირე, ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომ შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა ბატონი მერაბიშვილის მიმართ ან, სხვა შემთხვევაში, აღმკვეთი ღონისძიება მაინც შეცვალოს, — განაცხადა ჩივიაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ „2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით მომზადებულ დღემდე გაუხმაურებულ დასკვნას“ ავრცელებს.

„თავისუფალი ზონის“ ცნობით, წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ამერიკული ფირმა „დენსუსის“ მიერ 2011 წლის აგვისტოში. მისივე ინფორმაციით, „დენსუსი“ წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას სპეციალური დანიშნულების დანაყოფების მომზადებისა და მათი შეფასების დარგში და იგი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებითა და დაფინანსებით მოქმედებდა.

— მისი მომზადების მიზანი იყო პოლიციის ხელმძღვანელობისა და კონკრეტული დანაყოფების ავ-კარგის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება. დოკუმენტის გასაჯაროება გამოიწვია იმან, რომ 2011 წლის 26 მაისს პოლიციის ხელმძღვანელის ქმედებები სასამართლო განხილვის საგანი გახდა, რუსთაველის გამზირის ბლოკირების მიზნით, მომიტინგეებმა გამოიყენეს მეტალის ბარიერები, რომლებიც მეტალის ტროსით გადააბეს ერთმანეთს და მიამაგრეს ქუჩის ბოძებს. ეს საქციელი შეიძლება გავიგოთ, როგორც პირდაპირი პროვოკაცია მომიტინგეთა მხრიდან. ოპერაციის დაწყების წინ პოლიციამ მომიტინგეებს შესთავაზა მიტინგის სხვა ადგილას გადატანა.

ოპერაცია დაიწყო იმით, რომ პოლიციელთა ერთმა ჯგუფმა გადაჭრა ტროსები და დაშალა ბარიერები პარლამენტის სამხრეთ მხარეს, რათა მომიტინგეებს შეძლებოდათ გაცლა. ამის შემდეგ პოლიციის მთავარი ძალები დაიძრნენ ჩრდილოეთიდან. ადგილზე მყოფი 1000 მომიტინგიდან დაახლოებით ორასმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. მომიტინგეები შეიარაღებული იყვნენ ფარებითა და ხელკეტებით. არსებობს მტკიცებულებები, რომ მათ ჰქონდათ მოლოტოვის კოქტეილები. არსებობდა ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა შორის ცალკეულ პირებს ლეგალურად ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი.

რამდენიმე მანქანა, რომლებიც ეკუთვნოდათ პროექტის ორგანიზატორებსა და მათ მცველებს, დაიძრა თავისუფლების მოედნისკენ და შეხვდა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ დაკავების ჯგუფს. ჯგუფის მიზანი იყო კანონდამრღვევთა დაკავება. მანქანები არ გაჩერდნენ, გაიარეს პოლიციის რიგებში. შედეგად დაშავდა 5 პოლიციელი, გარდაიცვალა 1 პოლიციელი და 1 სამოქალაქო პირი.

ოპერაციის ტაქტიკური გეგმა იყო სრულფასოვანი და ის გაცნობილი ჰქონდა დანაყოფების მეთაურებს.

არსებობდა გეგმები მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებისთვის. არსებობდა დეესკალაციის გეგმა. ოპერატიული ინფორმაცია სათანადოდ ეცნობებოდა მეთაურებსა და დანაყოფებს და საფუძვლად ედებოდა ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს. თავდაპირველად გამოყენებული რესურსები, მათ შორის არასასიკვდილო და სპეციალური დანიშნულების საშუალებები, იყო თითქმის მთლიანად მოსალოდნელი საფრთხის ადეკვატური.

არსებობს აშკარა მტკიცებულებები, რომ ოფიცერთა ძალიან მცირე ჯგუფის მიერ ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებულ გამოყენებას. შეშფოთებას იწვევს სოციალური საშუალებების ზედმეტად აგრესიული გამოყენების შემთხვევებიც, როდესაც ამის საჭიროება არ იყო. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ 26 მაისის ღამეს ოფიცერთა უდიდესი უმრავლესობა მოქმედებდა დისციპლინირებულად, მუდმივად ასრულებდა ბრძანებებს და იყენებდა მიზნის მისაღწევად პროპორციულ და აუცილებელ ძალას. ეს ნათლად დადასტურებულია, — ნათქვამია დოკუმენტში.

ამერიკული კომპანია „დენსუსის“ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას



პოლიტიკოსები მალევე გამოეხმაურნენ. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ამერიკული კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას არ ენდობა.

— კარგად დაგეგმილში ალბათ იგულისხმება ის, რომ ვთქვათ, კარგად დაანგრიეს, კარგად დაშალეს და გაანადგურეს ქართველი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყანაში დემოგრაფიისთვის იბრძოდნენ. კარგი იქნებოდა, რომ მათი წარმომადგენლები 26 მაისს საქართველოში ყოფილიყვნენ და დაენახათ, რეალურად რა ხდებოდა. ის ძალა, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ იყო გამოყენებული, იყო უსინდისოდ გამოყენებული თუ ამაზე რომელიმე ძალა, ეს ამერიკული იქნება თუ ევროპული, ამბობს, რომ ეს ადეკვატური ძალა იყო, ასეთი კომპანიები არ უნდა არსებობდნენ, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

„თავისუფლების ზონის“ მიერ აფრიალებულ დასკვნას დღის ბოლოს კბილაშვილის უწყებაც გამოეხმაურა. მთავარი პროკურატურა მიიჩნევს, რომ ამერიკული კომპანია „დენსუსის“ მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჯერ კიდევ 2011 წელს გადაცემული დასკვნა, 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით, მაღალკვალიფიციურადაა შედგენილი და ის არათუ ეწინააღმდეგება ვანო მერაბიშვილისათვის შერაცხულ ბრალდებას, არამედ ავსებს მას და ადასტურებს ამ ბრალდების დასაბუთებულობასა და კანონიერებას.

— საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილისათვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, მან, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, გასცა უკანონო ბრძანებები, რომელთა საფუძველზე საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაარღვიეს მიტინგის დაშლის წინასწარ მომზადებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული გეგმა, რომლის მართლზომიერება და მიზანშეწონილობა გაზიარებულია ზემოაღნიშნული დასკვნითაც. შედეგად, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო ათეულობით ადამიანმა, ხოლო ორი — გარდაიცვალა.

საგულისხმოა, რომ კომპანია „დენსუსი“ დასკვნის შედგენისას უპირატესად ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მათთვის მიწოდებული, ცალკეულ შემთხვევებში, ცრუ ინფორმაციებითა და მასალებით. ასე, მაგალითად, დასკვნაში ვკითხულობთ: „გამზირის დემონსტრანტებისაგან გაწმენდის ოპერაციის შესწავლის შედეგად დათხოვნილი იქნა ოთხი პოლიციელი, ერთი ჩამოქვეითდა და ცხრა პირს გამოეცხადა საყვედური. თუმცა, დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ რომელ დანაყოფებში მუშაობდნენ აღნიშნული ოფიცრები ან რა დარღვევებმა/გადაცდომებმა განაპირობა მათი დისციპლინური დასჯა, არ გაცხადებულა.“

გამოძიებით კი უტყუარად დადგენილია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირების მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა თვალთმაქცური რეაგირება და ჩადენილ დანაშაულში ივანე მერაბიშვილის მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დასაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 16 თანამშრომელი, რომელთაგან ნაწილი საერთოდ არ იმყოფებოდა მიტინგის ტერიტორიაზე, ნაწილი — უშუალოდ არ ღებულობდა მონაწილეობას მიტინგის დაშლაში, ხოლო 3 მათგანი დასჯის შესახებ ბრძანების გამოცემამდე, საკუთარი ნებით, უკვე გათავისუფლებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

შესაბამისად, კომპანია „დენსუსის“ დასკვნა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ახლად გამოვლენილი გამამართლებელი მტკიცებულება და მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია სამართლებრივი მანიპულაციისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს, — აცხადებენ პროკურატურაში.

# ირაკლი ბათიაშვილი „დენსუსის“ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას გამოეხმაურა

ირაკლი ბათიაშვილი „თავისუფალი ზონის“ მიერ გამოქვეყნებულ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით შექმნილ იმ დასკვნას გამოეხმაურა, რომელიც 2011 წლის 26 მაისს პოლიციელთა მოქმედებას შეეხება.



ბათიაშვილის თქმით, კერძო კომპანია, რომელმაც ეს დასკვნა მოამზადა, სააკაშვილის მთავრობასთან თანამშრომლობდა და მეტიც, მათი კონსულტანტი იყო.

„ამ დასკვნის აფრიალება არის „ნაციონალური მოძრაობის“, კერძოდ კი მიხეილ სააკაშვილის მიერ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ს დაშანტაჟების მორიგი მცდელობა. მან ასეთი დაშანტაჟების მცდელობები რამდენჯერმე ჩაიდინა, როდესაც აგვისტოს ომთან დაკავშირებით აშშ გარკვეულ კონტექსში მოიხსენია. სააკაშვილს თავის დანაშაულებრივ ქმედებებში ამერიკელებისა და ამერიკული მხარის რაღაცნაირად ჩათრევა სურს. ეს პირდაპირი შანტაჟია.

რაც შეეხება ამ დასკვნას, არ გაინტერესებთ, თუკი ეს დასკვნა ასეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო, რატომ არ გამოიყენა თავად სააკაშვილის ხელისუფლებამ იგი 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდგომ, როდესაც მასთან მიმართებაში ამხელა ალიაქოთი იყო ატეხილი? რატომ მაშინ არ ამოაძვრინა ეს დოკუმენტი? ვიცით, რომ ეს დოკუმენტი ახლა არ არის შედგენილი, ის 26 მოვლენების შემდგომ მალევე გაკეთდა.

ფირმა „დენსუსი“ არის ჩვეულებრივი, კერძო კომპანია და თქვენ კარგად იცით, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას ურთიერთობა, უამრავ ასეთ კერძო კომპანიასთან ჰქონდა.

„დენსუსი“ კონსულტაციებს უწევდა სააკაშვილ — მერაბიშვილის ხელისუფლებას, უზრუნველყოფდა მათ ტრენინგებს და ასწავლიდა მიტინგის დაშლის ტაქტიკას. თავისთავად ცხადია, ამ მიტინგის დაშლას ის უარყოფითად ვერ შეაფასებდა. „დენსუსი“ თავად იყო კონსულტანტი და რა თქმა უნდა ამას ენთუზიაზმის საფუძველზე არ აკეთებდა. როგორც ჩანს კარგ გასამრჯელოსაც იღებდა.

ასევე, „დენსუსი“ ამ დასკვნის მომზადებისას ინფორმაციას მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურებიდან იღებდა. მას ინფორმაცია არცერთი დაზარალებულისგან არ აუღია.

სწორედ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მარტივი დასკვნა გავაკეთოთ, თუ რატომ ემთხვევა ერთი ერთზე რაღაც ფირმა „დენსუსის“ მიერ მომზადებული დასკვნის ტექსტი და ის ტექსტები, რომლებითაც სააკაშვილის მთავრობა 26 მაისის მოვლენებს აფასებდა“ — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „დენსუსის“ დასკვნის თანახმად, 26 მაისს პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა, ხოლო აქციის მონაწილეები „მოლოტოვის კოქტეილებით“ იყვნენ შეიარაღებულნი.

**ნიუსპრესი**

# აჭარაში დაკარგულ 17 წლის გოგონასთან დაკავშირებით, შსს განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ბათუმში, მოქალაქეებმა შენიშნეს გოგონა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ახალშენში უგზო-უკვლოდ დაკარგულ დარეჯან დიასამიძეს მიამსგავსეს, ამასთან დაკავშირებით მიმართეს საპატრულო პოლიციას, რაზეც, მოქალაქეების თქმით, ეკიპაჟმა რეაგირება არ მოახდინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აჭარის საპატრულო პოლიციაში შეტყობინება არ შესულა და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მედიასაშუალებებს, არ გაავრცელონ გადაუმოწმებელი ინფორმაცია და დაკარგული გოგონას ოჯახის წევრები და საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანონ.

დარეჯან დიასამიძის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამოძიებასთან დაკავშირებით მობილიზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ყველა დანაყოფი და აქტიურად მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

იმ შემთხვევაში, თუ დაკარგულ გოგონასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას ფლობთ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე — „112“ ან მიმართოთ პოლიციის ნებისმიერ განყოფილებას“ — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

2013, 13 აგვისტო, №190

# ვანო მერაბიშვილი: „არასოდეს მიფიქრია, რომ 26 მაისის აქციის დაშლაზე თავის მართლება მომიწევდა“

საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ექს-პრემიერის, პატიმრობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მას არასოდეს უფიქრია, რომ 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლის მსგავს ბრალდებებზე თავის მართლება მოუწევდა.

მისი თქმით, მის ადვოკატებს დიდი შრომა დასჭირდათ, რომ აღნიშნული აქციის დაშლის თაობაზე ამერიკული კომპანიის მიერ მოზადებული დასკვნის ასლი მოეპოვებინათ, რომელიც ადასტურებს, რომ 2011 წლის 26 მაისს ყველა ქმედება კანონიერი იყო.

ამასთან, მერაბიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად აჭიანურებდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაცული ამერიკული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა მისი ადვოკატებისთვის გადაეცა.

„დღეს, ჩემი ადვოკატების მიერ გამოქვეყნებული დასკვნა ადასტურებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა დაშლა განახორციელა საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის ფარგლებში. აღნიშნული დასკვნის მოზადება სამინისტრომ დაუკვეთა კერძო კომპანიას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით. დასკვნის მომზადების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ამოძრავებდა პოლიტიკური მიზნები, რისი დასტურიც არის ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი სამინისტროს ჰქონდა 2011 წლიდან, თუმცა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული და პოლიტიკურად გამოყენებული. ამ დასკვნის ერთადერთი მიზანი იყო მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის ჩატარება და რჩევების მიღება მდიდარი გამოცდილების მქონე ორგანიზაციის მხრიდან. სწორედ ამიტომ, კომპანიის შერჩევა მოხდა ამერიკელი მეგობრების მიერ. მიმაჩნია, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს ამ დასკვნის ობიექტურობაში ეჭვი არ შეეპარება. მე არასოდეს მიფიქრია, რომ მომიწევდა მსგავს ბრალდებაზე თავის მართლება და შესაბამისად, არც მიფიქრია ამ დოკუმენტის ადრე გამოქვეყნების ან მისი შენახვის თაობაზე. სწორედ ამიტომ, ჩემს ადვოკატებს დასჭირდათ სერიოზული შრომა ამ დოკუმენტის მოსაპოვებლად, რამაც ჩემი დიდი გაკვირვება გამოიწვია. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა დოკუმენტის გადმოცემის პროცესი და მისი მიღება მხოლოდ ჩვენი უცხოელი მეგობრების ჩარევით მოხერხდა. იმის გამო, რომ მე მოკლებული ვარ საშუალებას თავად მოვიძიო ჩემი დაცვისთვის აუცილებელი მტკიცებულებები, ჩემს ადვოკატებს უწევთ დიდი შრომის გაწევა, რისთვისაც მე დიდ მადლობას ვუხდი მათ. მე ვფიქრობ, რომ დღემდე პროკურატურას არ გააჩნდა აღნიშნული დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ბრალდება ჩემს წინააღმდეგ წარდგენილი არ იქნებოდა,“ — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

**ახალი თაობა**

# ნანა კაკაბაძე: „ვეტო რომ ვეტოა, სააკაშვილს ისიც კი ველარ დაუდია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, თქვენი აზრით, რატომ შევიდა ჩიხში ახალი ხელისუფლება? საუბარია, რომ ის უუნარო აღმოჩნდა...***

— დავიღალე უკვე ამაზე საუბრით და ვატყობ, ამას აზრიც აღარა აქვს. ხელისუფლებამ სულ სხვა პოზიცია აირჩია და არა ის, რაც საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის იყო საჭირო და მნიშვნელოვანი. ჩვენზე უფრო დემოკრატიულმა, ჩვენზე უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა გააკეთეს ის, რომ უარი თქვეს იმ უარყოფით რეჟიმებზე, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიჩნეული იყო ხალხის წინააღმდეგ და ქვეყნის წინააღმდეგ წარმართულ პოლიტიკაში. მაგალითად, ფაშიზმი იტალიაში, ფაშიზმი გერმანიაში, რომლებიც შეფასდა. ეს გაკეთდა მართლაც და იმისათვის, რომ მათ უარი ეთქვათ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ეს უარგისი რეჟიმები ატარებდნენ და ქვეყანა განევითარებინათ ნორმალური გზით. ჩვენ ვნახეთ, ამოვიღეთ პრეცედენტები ამ შეფასებებისა, ამ გასამართლებისა და დავინახეთ, რომ ძალიან დემოკრატიული ქვეყნები, უმკაცრესად სჯიდნენ ისეთ რეჟიმებს, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დანაშაულში იყვნენ შემჩნეულნი და რომლებიც კაცობრიობის წინაშე დანაშაულს სჩადიოდნენ. ამოვიღეთ კანონმდებლობები, ამოვიღეთ პრეცედენტები, როგორ ხდებოდა მათი გასამართლება. დღეს ეს ჩვენს ქვეყანაში არ ხდება. თუ გერმანიის ფაშიზმი იყო მსოფლიო მასშტაბის და ფართო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის ფაშიზმი იყო პროვინციული და ვიწრო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინაიდან ეს არ იყო უფრო ფართო მასშტაბის, იყო ნაკლები დანაშაულის შემცველი. არა, თითოეული ადამიანი, ვინც ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა, იყო ისეთივე მსხვერპლი, როგორიც მსოფლიო მასშტაბის რეჟიმის დროს იყვნენ კონკრეტული ადამიანები მსხვერპლები. თან რაც მთავარია, ყველაზე სერიოზული სტაგნაცია, რაშიდაც არის ეკონომიკური განვითარება, ეს ეკონომიური განვითარება როგორ მოხდება, თუ ეს დატაცებული ქონება არ დაბრუნდა. ამ რეჟიმს გარდა წამებისა, ღირსების შემლახავი მოპყრობისა, უსამართლო განაჩენებისა, ხომ ჰქონდათ ისიც, რომ მათ გაძარცვეს საქართველოს მოსახლეობა და ეს უზარმაზარი ქონება წაიღეს და ქვეყნის გარეთ გაიტანეს. ამის საშუალება კი მისცა ახალმა ხელისუფლებამ. ქვეყნის შიგნით უკვე ფულადი კუპიურა აღარ მოძრაობს. ფული აღარ დარჩა ქვეყანაში, დიდი ნაწილი ნაციონალებმა გაიტანეს ქვეყნიდან და რაღაცა ნაწილი დაუტოვეს ქართულ ოცნებას, რომელიც ამას ჯერ ვერ ატრიალებს ქვეყანაში. მოსახლეობა დარჩა გატყავებული და საიდან უნდა განვითარდეს ეკონომიკა, როცა ფული არ მოძრაობს?! როგორ მოხდა ფაშიზმის გასამართლების დროს? მილიონობით ადამიანი წარდგა სასამართლოს წინაშე და გაირკვა მტყუან-მართალი. მიტაცებული ქონება, რომელიც ფაშისტურ რეჟიმს ჰქონდა, ამისი ჩამორთმევის მექანიზმებიც დევს იმ კანონში. გაიხსნა ფონდი, სადაც ეს მიტაცებული ქონება ბრუნდებოდა და ეს თანხები ხალხს უბრუნდებოდა. ეს პროცესი ჩვენთან ხომ არ მიმდინარეობს?!

***— ვისი ან რისი ბრალია ეს ყველაფერი?***

— იმის, რომ ახალ ხელისუფლებას არა აქვს ამისი პოლიტიკური ნება. ისეთი გალაღებულები და გაცისკროვნებულები ხვდებიან ერთმანეთს სააკაშვილი და დღევანდელი ხელისუფლება, გინდ უგულავა და გინდაც სხვა, ისეთ სასიყვარულო რეჟიმში არიან ერთმანეთთან, რომ ეს, რა თქმა უნდა, ეჭვსაც ბადებს საზოგადოებაში და გარკვეულწილად შედეგი დააყენა ის, რომ ქვეყანა მიდის უფსკრულში. ეს არაფრით არ გამოსწორდება, თუ ამ რეჟიმის შეფასება არ მოხდა, თუ დამნაშავეების დასჯა არ მოხდა, თუ მიტაცებული ქონების ჩამორთმევა და უკან დაბრუნება არ მოხდა, იმ საზოგადოებისთვის, რომელ საზოგადოებასაც ეს თანხები წაართვეს. გამაგებინეთ ერთი, მარტო ერთეულებმა უნდა შეძლონ ამ ქვეყანაში ქონების დაბრუნება და ისიც იმათმა, ვინც ხელისუფლებაშია?! ვინც გააკოტრეს და უყველაფროდ დატოვეს, ამ ადამიანებმა რა უნდა ქნან?! ამათმა ხომ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს რეჟიმი შეცვლილიყო?! გამოვიდა ხალხი, ხმა მისცა ახალ ხელისუფლებას, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა წინა ხელისუფლებას. ხალხმა სამსახურები დაკარგა, ქონება დაკარგა, ყველაფერი შეწირეს იმას, რომ როგორღაც ეს რეჟიმი შეცვლილიყო და ყველაფერზე წავიდნენ. იცოდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში ამ ადამიანებს დაპატიმრება კი არა პირდაპირ სიკვდილი ელოდათ, მაგრამ ამ ხალხმა ეს გააკეთა. მოტრიალდნენ და რაღა შერჩათ? კოაბიტირებული ხელისუფლება, რომლებიც ღიმილიანი სახით ხვდებიან ერთმანეთს და სიამტკბილობაში არიან. ხოლო საზოგადოება გაყვლეფილი, ღირსება აყრილი, შეურაცხყოფილი, უსამართლოდ დასჯილი და არანაირი წინსვლა. თქვენ იცით, რომ სერიოზული საფრთხე დგას იმისი, რომ სასამართლომ დღეს ხვალ შეიძლება ბაჩო ახალაია გაამართლოს და გამოუშვას.



***— რომელ დაჭერაზე და სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, ქალბატონო ნანა, ვინც დაიჭირეს, იმასაც გარეთ უშვებენ...***

— მეც მაგას არ ვამბობ?! ეს არის სასამართლო რეფორმა?! გასაგებია, რომ პროკურატურა შესაბამისად არ მუშაობს და მესმის, რომ პროკურატურაში სერიოზული წმენდაა ჩასატარებელი, მაგრამ ამას ხომ პოლიტიკური ნება სჭირდება. დღეს რომ ატეხილია კამპანია იმასთან დაკავშირებით, რომ კბილაშვილი უნდა გადადგეს, რა კბილაშვილია მთელი პროკურატურა?! არ იცის საზოგადოებამ, ვინ არის იქ მთავარი პროკურორი და ვინ მართავს იქ პროცესებს? შეიძლება, რომ ერთი კაცის პასუხისმგებლობა იყოს მთლიანი სისტემა? თუ არ იქნა პოლიტიკური ნება, რომ ეს ადამიანები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან და არიან ძველი კადრები, რომლებიც სწორედ ამ დანაშაულობებს სჩადიოდნენ, თუ სრული წმენდა არ მოხდა, ეს ადამიანები როგორ დადებენ მტკიცებულებებს საკუთარი თავის წინააღმდეგ?! ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დადებული მტკიცებულებებიც ხომ ამ ხალხის წინააღმდეგ დადებული მტკიცებულებებია. ეს პროკურორები არ იყვნენ, რომ უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში ყრიდნენ, რომლებსაც მერე ბაჩო ახალაია ექცეოდა ისე, როგორც ექცეოდა? ბუნებრივია, პროკურატურა ამას არ გააკეთებს, მაგრამ ამისთვის ხომ პოლიტიკური ნებაა საჭირო. კადრებს ერთი და ორი ადამიანი ხომ ვერ შეცვლის პროკურატურაში? ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება!

***— მერედა რატომ არ არის ეს პოლიტიკური ნება?***

— რატომ არ არის ეს, გამოსაძიებელია და ეს ხელისუფლება როცა შეიცვლება, მაშინ გაირკვევა, რატომ არ არის ეს და რა დგას ამის უკან? როგორ წინა საარჩევნო პერიოდში თუ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ესენი იყვნენ კრიმინალები, დამნაშავეები, სადისტები, მწამებლები და ასე შემდეგ ეს პოზიციაა რატომ შეიცვალა? კრიმინალები ერთადერთ ოპოზიციურ ძალად როგორ იქცნენ?! ის დანაშაულობები სად გაქრა, აორთქლდა თუ რა მოხდა იმ დანაშაულობებთან დაკავშირებით?! დღეს კი მიდის საუბარი იმაზე, რომ ახალაიაც რეჟიმის მსხვერპლია. საზოგადოებას ღირსეული ცხოვრების მაგალითს ხელისუფლება უნდა აძლევდეს. სხვა შემთხვევაში საზოგადოება ვერ იცხოვრებს, როგორი კანონებიც არ უნდა შექმნა, თუ შენ მაგალითი არ მიეცი საზოგადოებას როგორი სამართლიანი ხარ, როგორი კანონმორჩილი ხარ, საზოგადოება ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება კანონმორჩილი. საზოგადოებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოსთხოვ შენ არ იყო კრიმინალი, როდესაც ხედავს, რომ კრიმინალურია ის მიდგომა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს, წინა ხელისუფლების, თუ დღეს ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ეს არის კრიმინალური დამოკიდებულება, როცა კრიმინალს ფარავ, როდესაც დანაშაულს ფარავ. ეს არის ან უგუნური პოლიტიკის შედეგი, ან კიდევ უარესი, რაღაცა გარიგების და შეთანხმების შედეგი. ეტყობა უფრო მარტივად და თავისუფლად გრძნობს ამ სიტუაციაში დღევანდელი ხელისუფლება თავს — მოდი, რა გავიყოთ და ვიცხოვროთ. მაგრამ ხალხი, ხალხი რომელიც გაღვლეპილი და გაძვალტყავებულია, ის არის იგნორირებული. აი, სწორედ ამიტომ დავაყენეთ ჩვენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეფერენდუმის საკითხი და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი, რომ ხალხს უნდა ჰყავდეს მის მიერ არჩეული პარლამენტი და არა მიტაცებული, ძალაუფლების მქონე, თუ იგივე ერთი პირის გამო მიცემული ხმებით დაკომპლექტებული პარლამენტი. ხალხმა უნდა იცოდეს, ვის ირჩევს და პარლამენტი უნდა გრძნობდეს თავს ვალდებულად საზოგადოების წინაშე. დღეს ესეც პრობლემაა, ისინი არ გრძობენ თავს ვალდებულად საზოგადოების წინაშე და ამიტომ არ დააყენეს რეჟიმის გასამართლების საკითხი, ამიტომ არ ხდება ის საკანონმდებლო ცვლილებები და კანონების მიღება, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ქვეყანაში იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც წინა ხელისუფლებამ უკანონოდ, არაადამიანურად და ბანდიტურად მიიტაცა საზოგადოებისგან. ერთი შეთანხმებაც არ მოხდა ისე, როგორც ეს უნდა მომხდარიყო. თუნდაც 2008 წლის ომს არა აქვს ომის სტატუსი. ყველა იძახის ომის მონაწილე, მაგრამ ეს ადამიანები როდესაც ბანკებს მიადგნენ, რომ ომი იყო და ჩვენ აღებული კრედიტები ვერ დაგიბრუნეთ, იმიტომ, რომ ფორსმაჟორი იყოო, გადააშალა კანონი ბანკმა და ეუბნება ამ ხალხს, რომ 2008 წლის მოვლენებს არა აქვს ომის სტატუსი და ამიტომ ფორსმაჟორი არ იყოო. აი, ეს მიდგომებია დღეს და ეს არ იცვლება.

***— თუმცა თავიდან აქტიურად საუბრობდნენ, რომ აუცილებლად გამოიძიებდნენ აგვისტოს ომს, მაგრამ რატომღაც დაივიწყეს ეს გულანთებული განცხადებები...***

— რა თქმა უნდა, დაივიწყეს და შეჩერდა. შეჩერდა იმის და მიუხედავად, რომ პრესაშიც აუარებელი მასალები იწერება იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდებოდა ომის პერიოდში. ვიმეორებ, პოლიტიკური ნება არ არსებობს ამ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის და სანამ ეს ნება არ იარსებებს, ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობა ვერ აღდგება. მხოლოდ და მხოლოდ სურვილი ხალხისა არ არის საკმარისი. რადგან მარტო ეს სურვილი საკმარისი არ არის, გვინდა სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ ამას ხელისუფლება არ აკეთებს, მაშინ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და მოვიდეს ის, ვინც ამას გააკეთებს და სწორედ ეს პროცესი უნდა დაიწყოს დღეს ქვეყანაში.

***— რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მატულობს შიში საზოგადოებაში ნაციონალური მოძრაობის მობრუნებისა, რამდენად რეალურია ეს შიშები?***

— ისედაც ხელისუფლებაში არ არიან? რეალურად სააკაშვილის გარდა, რომელიც ოქტომბერში ჩამოშორდება ხელისუფლებას, მითხარით ერთი ვინ ჩამოაშორეს ხელისუფლებას?! მოსამართლეები იგივე არიან, პროკურორები იგივე არიან, შინაგან საქმეთა სამინისტრო იგივეა, წავიდა ვინმე, როდის შეიცვალა ხელისუფლება?! ხალხი, ვინც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ გამოყრილი სამსახურებიდან, ქართული ოცნებისა და ოპოზიციის მხარდაჭერისათვის, რომ ეს რეჟიმი მოეშორებინათ, ეს ხალხი ისევ ქუჩაშია და მათ პასუხობენ, რომ იცით, ჩვენ არა გვაქვს ვაკანსიებიო. იმიტომ, რომ ეს ვაკანსიები დაკავებული აქვს იმათ, ვინც ეს ხალხი სამსახურებიდან გამოყარა და უმუშევარი დატოვა პოლიტიკური ნიშნით. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სერიოზულ პროცესებში გადაიზრდება. იმიტომ, რომ ისეთი უზარმაზარი მოლოდინი ჰქონდა ხალხს და მხოლოდ და მხოლოდ მოხდა ის, რომ ცოცხები ამოიღეს ხმარებიდან ციხეებში. ერთადერთი, რაც არ არის, არ არის ცოცხები და ამის შემოქმედი კი დღე დღეზე შეიძლება სასამართლომ გამოუშვას.

***— ამ ოპოზიციური პარტიების მხრიდან გასაკვირი არც იყო ნაციონალებთან გარიგება, რადგან ამაში არაერთხელ ყოფილან ისინი შემჩნეულები, მაგრამ ივანიშვილის პოზიცია უკვირს ხალხს. რა ხდება, რატომ დუმს? ზეწოლაა მასზე თუ უბრალოდ არ იცის, რეალურად რა ხდება?***

— არცოდნა გამორიცხულია! ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა არ იცოდეს რა ხდება, ეს გამორიცხულია! ის გარემოცვაც, რომელიც მის ირგვლივ არის მისი არჩეულია, არავის მისთვის არ დაუძალებია და დღეს როდესაც არის საუბარი იმაზე, რომ წავიდა კეზერაშვილი, მაგრამ მოვიდა კეზერაშვილი ბიზნესში, ესეც ფაქტია, ხომ? ისევ ისეთი პრობლემები რომ აქვს თავისუფალ ბიზნესს, როგორიც ჰქონდა, ესეც ფაქტია, ხომ. ამისი არცოდნა გამორიცხულია. უბრალოდ, რეაგირება არ ხდება.

***— საუბარია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიცვლება, დღეს ორხელისუფლებიანობაა და გასაქანს არ გვაძლევენ, ოქტომბერში კი ეს დასრულდებაო. რამდენად გჯერათ ამის?***

— რაც არჩევნების მერე მოხდება, ის უკვე მომხდარია. სააკაშვილი დღეს არის უბრალოდ მარიონეტი, სათამაშო ფიგურა, რომელზედაც ძირითადად ხალხი უკვე ერთობა. დადის აქეთ-იქით და ამბობს ამდენ სისულელეს. რა ძალაუფლება აქვს მას? რეიტინგი აქვს, მხარდაჭერა აქვს თუ რა? ვეტო რომ ვეტოა, რამდენი დაადო, იმდენი თავზე დაამხეს, რა ძალაუფლება აქვს? არაფერიც აღარ აქვს! ამ მიმართულებით განსაკუთრებული არაფერი არ შეიცვლება. პოლიტიკური ნების ქონაა საჭირო და პოლიტიკური ნება ასეთი არჩევნების შედეგად არ ჩნდება.

# ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილს თილისმად საკუთარი ავტოკალამი გადასცა

საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს, საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებასთან დაკავშირებით, თილისმად საკუთარი ავტოკალამი გადასცა, რომლითაც საპარლამენტო არჩევნების წინ თავად მუშაობდა.

პრემიერმა კამპანიის დაწყებისას, არჩევნების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„იმედი მაქვს, საპრეზიდენტო არჩევნებით ჩვენ კიდევ ერთ ტესტს ჩავაბარებთ და ყველას დავარწმუნებთ, რომ ის ხელისუფლება ვართ, რომელსაც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება შეუძლია. ჩვენ ის პოლიტიკური ძალა ვართ, რომელსაც ჰყავს ისეთი კანდიდატი, როგორიც საქართველოს, ევროპისკენ მიმავალ ქვეყანას ეკადრება.

საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილების ყველაზე უფრო მკაფიო დემონსტრირებაა. ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ამ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების ამბიცია აქვს. დარწმუნებული ვარ საპრეზიდენტო არჩევნებში პატიოსან ბრძოლაში ღირსეული კანდიდატი ღირსეულად გაიმარჯვებს. ღრმად მწამს, რომ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვება იქნება, ეს კი იმის გარანტიაა, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დაადგება დემოკრატიულ, პოლიტიკური მოწესრიგებულობის გზას, რომლიდან გადახვევაც ადვილი აღარ იქნება“ — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**ნიუსპრესი**

# ათავისუფლებენ თუ არა საჯარო მოხელეებს პოლიტიკური ნიშნით

ნათია ხურცილავა

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშის თანახმად, „საჯარო დაწესებულებებიდან გათავისუფლებების ტალღა არჩევნების შემდეგ დაიწყო და ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა“.

არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში საჯარო სამსახურში მომხდარ საკადრო ცვლილებებს მიმოიხილავს. საანგარიშოდ აღებულ იქნა პერიოდი 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე.

– არჩევნების შემდეგ საქართველოში მოქმედი საჯარო დაწესებულებებიდან მთლიანობაში სულ ცოტა 5638 თანამშრომელი დაითხოვეს, მათგან 2336 (41%) საკუთარი განცხადების საფუძველზე, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში, საჯარო მოხელეები საკუთარი ნებით სულაც არ ტოვებდნენ სამსახურს;

საჯარო სამსახურში 7008 ახალი მიღებული თანამშრომლიდან მხოლოდ 257 (4%) დაინიშნა კონკურსის წესით;

იმ საჯარო უწყებებიდან, რომლებმაც საშტატო ნუსხები მოგვაწოდეს, საერთო ჯამში, თანამშრომელთა 11% გაათავისუფლეს;

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან სულ 3769 მოსამსახურე გათავისუფლდა. მათგან ერთ მესამედზე მეტმა, 1314 თანამშრომელმა, საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა;

ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი საჯარო მოსამსახურე შემდეგი სამინისტროებიდან გათავისუფლდა: შინაგან საქმეთა (897), ჯანდაცვის (883), თავდაცვის (690), იუსტიციის (567) და ფინანსთა (278) სამინისტროები. ამ რაოდენობებში შედის სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც (სსიპ-ები);

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან სულ 1769 მოსამსახურე გათავისუფლდა, აქედან ნახევარზე მეტი – 1022 საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან ყველაზე მეტი კახეთის (585), იმერეთის (290), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (241) მუნიციპალიტეტებიდან გაათავისუფლეს.

რაც შეეხება საკადრო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში ნათქვამია, რომ გათავისუფლებების ტალღა არჩევნების შემდეგ დაიწყო და ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

– გათავისუფლება საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებსაც შეეხოთ, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში საჯარო სამსახურის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს და როგორც წესი, პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად არ მერყეობს;

ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლებები იურიდიული საფუძვლის გარეშე ხდებოდა. იმ პირთა ბრძანებები, რომლებმაც საკუთარი ნებით არ დატოვეს სამუშაო ადგილები, ხშირად კანონდარღვევით იყო შედგენილი;

უწყებების დიდ უმრავლესობაში ატესტაცია და კონკურსი არ ჩატარებულა, ხოლო იქ, სადაც ჩატარდა, ძირითადად არაეფექტურად იყო ორგანიზებული;

გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა დიდმა ნაწილმა საკუთარი განცხადებით დატოვა დაკავებული თანამდებობები. ზოგჯერ ისინი ახალი ხელმძღვანელების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობდნენ;

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ყოფილი საჯარო მოხელე ზეწოლაზე საუბრობდა, ჩვენთვის უცნობია, დადგა თუ არა ზეწოლის განმახორციელებელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი;

გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლები ცალსახად უკანონოდ დაინიშნენ თანამდებობებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი გათავისუფლების საკითხი არ დამდგარა და ისინი კვლავაც აგრძელებენ უფლებამოსილების შესრულებას;

მიუხედავად იმისა, რომ მოხელეების ნაწილს საშუალება ჰქონდათ, შეევსოთ ჩვენს ვებგვერდზე არსებული აპლიკაცია, სადაც მათ შეეძლოთ განეცხადებინათ მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მოგვმართა;

ზოგიერთი საჯარო დაწესებულებისგან ინფორმაციის მიღება ძალიან რთული იყო, მაგალითად, შსს-მ ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია 5 თვის დაგვიანებით მოგვაწოდა, რასაც წინ უძღოდა არაერთი შეხსენება და ოფიციალური საჩივარი.

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს, არ დაუშვან პოლიტიკური ან სხვა დისკრიმინაციული ნიშნით საკადრო ცვლილებები საჯარო სამსახურში.

– საჯარო მოხელის დანიშვნისა თუ გათავისუფლების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თუ დასაკავებელ თანამდებობასთან.

რეკომენდებულია, რომ ნებისმიერი საკადრო ცვლილება მხოლოდ კონკურსისა და ატესტაციის გზით განხორციელდეს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მაქსიმალურად დასაბუთებული.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიები უნდა დაკომპლექტდეს პირებით, რომლებსაც აქვთ საკმარისი კომპეტენცია კონკურსანტებისა და ატესტაციის გამვლელი მოხელეების კვალიფიკაციის შეფასებისათვის, – ნათქვამია ანგარიშში.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, კვლევა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას, ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ პირისპირ და ტელეფონით ჩატარებულ ინტერვიუებს და მასმედიით გავრცელებული ცალკეული შემთხვევების ანალიზს ეფუძნება.

# რატომ გადადგა ცესკოს თავმჯდომარეობიდან ზურაბ ხარატიშვილი

ნათია ხურცილავა

ყველასთვის მოულოდნელად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი თანამდებობიდან გადადგა. გადადგომის მიზეზებზე არავინ არ საუბრობს. თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომა რამდენად ჯდება ნორმის ფარგლებში, რთული სათქმელია.

რატომ გადადგა ზურაბ ხარატიშვილი? ამ კითხვაზე პასუხს ხარატიშვილი სავარაუდოდ 15 აგვისტოს გასცემს. რამდენად იქნება მისი არგუმენტები დამაჯერებელი? ხარატიშვილი იტყვის თუ არა რეალური მიზეზის შესახებ? რატომ მაინცდამაინც საპრეზიდენტო არჩევნების წინ? – ეს ის კითხვებია, რომელზეც ცესკოს უკვე ყოფილ თავმჯდომარეს მოუწევს პასუხის გაცემა.

ხარატიშვილის გადადგომის მიზეზი იყო თუ არა ზეწოლა? და თუ იყო, ვინ განახორციელა? არის თუ არა ამაში ახალი ხელისუფლება გარეული? ამას 15 აგვისტოს გავიგებთ.

ცესკოს პრეს-სპიკერმა ეკა არაზაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ხარატიშვილზე ზეწოლა არ ყოფილა.

არაზაშვილმა ასევე იმ სამართლებრივ პროცედურებზე ისაუბრა, რომელიც ახალი თავმჯდომარის ასარჩევად არის საჭირო.

– ამ ეტაპზე მიზეზებზე ვერ ვისაუბრებ. როგორც ჩემთვის ცნობილია, 15 აგვისტოს ბატონი ზურაბი თავად აპირებს, რომ გააკეთოს განცხადება და ის ასევე გააკეთებს განმარტებებს, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. მე როგორც ცსკ-ის სპიკერი, ამ შემთხვევაში მის პირად გეგმებთან დაკავშირებით ვერ ვისაუბრებ. რაც შეეხება შემდგომ სამართლებრივ პროცედურებს – ცსკ-ის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა, პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციის შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცსკ-ის სამ კანდიდატურას წარუდგენს. თავმჯდომარეს ირჩევენ ცსკ-ში პარტიების მიერ დანიშნული, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები 5 დღის ვადაში. თუ აღნიშნული წესით გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ იმავე კანდიდატურებისგან თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 დღის ვადაში, – განაცხადა აზარაშვილმა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაადასტურეს ინფორმაცია, რომ კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. ცესკოს პრესსპიკერის თქმით, ზურაბ ხარატიშვილი ამ ეტაპისთვის შვებულებაში იმყოფება.



როგორც ცნობილია, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევა ხდება საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრების (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) ან საქართველოს პარლამენტის მიერ. მისი უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში და შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას. ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში იღებენ ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს ამ პუნქტით განსაზღვრულ წევრთაგან უხუცესი წევრი. ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით კენჭისყრა ფარულია. კენჭისყრაში მონაწილე ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი. ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატმა მიიღო 4 ან 4-ზე მეტი ხმა.

# რუსეთს პროვოკაციების შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

ნათია ხურცილავა

საგარეო უწყება საგანგებოდ მიმართავს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს. როგორც ჩანს, მიმართვის ადრესატები ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევია.




საგარეო საქმეთა სამინისტრო აგვისტოს ომიდან 5 წლისთავზე კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, პროვოკაციული ქმედებები შეწყვიტოს, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები და საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, რომლითაც ის სოფელ ქვეშთან მომხდარ ინციდენტს ეხმაურება.

– 2013 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილური ეკიპაჟი ახორციელებდა რეგულარულ პატრულირებას გორის რაიონის სოფელ ქვეშში, საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან განხორციელდა გასროლა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის პროვოკაციულ ქმედებას, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მძიმე ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია და ქართული მხარის პროვოცირება. მსგავსი უკანონო ქმედებები იწვევს განსაკუთრებულ შეშფოთებას იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არ არსებობს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები და რუსეთი კვლავ აცხადებს უარს, აიღოს ძალის გამოუყენებლობის სამართლებრივი ვალდებულება, საქართველოს ცალმხრივი ვალდებულების საპასუხოდ.

მსგავსი პროვოკაციული სახის ინციდენტები და რუსეთის სხვა დესტრუქციული ქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ მანდატის შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობასა და რუსეთის ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საჭიროებას.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებები, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები და საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, – ნათქვამია განცხადებაში.

## ფოთის პორტში დიდი რაოდენობით უვარგისი ქათმის ხორცის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

„ფოთის პორტის“ საბაჟო გამშვები პუნქტზე, ბრაზილიიდან იმპორტირებული 2196 კგ ვადაგასული, გაყინული ქათამი აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ვადაგასული პროდუქტი ვეტერინარმა ოფიცერმა, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო პროცედურების განხორციელებისას აღმოაჩინა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილების თანახმად, ვადაგასული საქონელი უკან გაბრუნებას ან განადგურებას ექვემდებარება.

ნიუსპრესი

## გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენ შევძელით და კოჰაბიტაციური პოლიტიკური ციკლის პროცესი ბოლომდე მივიყვანეთ“

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, რომელიც მან გუშინ ნოქალაქევში, საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების დროს გააკეთა, მითი იმის შესახებ, რომ დასავლეთისკენ სწრაფვა აუცილებლად რუსეთთან დაძაბულობის ფონზე უნდა ხდებოდეს – დაიმსხვრა.

მისივე თქმით, კოაბიტაციის პროცესი საქართველოში 27 ოქტომბერს დასრულდება, როცა ქვეყანას პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი აღარ ეყოლება.

„ჩვენმა ცხრა თვიანმა მმართველობამ აჩვენა, რომ ის კლიშე, თითქოს არ შეიძლება ევროპისკენ მოძრაობა თუ რუსეთთან უკიდურესი დაძაბულობა არ არის, – ტყუილი იყო. ჩვენ ის შევცვალეთ. რეალურად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის არცერთი მისხალი არ დაგვიტოვებია და ამავე დროს, შევძელით და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია დავიწყეთ. იგივე კურსი გაგრძელდება მომავალშიც. საქართველოს სტაბილური და მდგრადი საგარეო პოლიტიკა სჭირდება.

ცხრა თვის განმავლობაში ჩვენმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხთან ერთად გაიარა ის, რაც ბევრი პოლიტიკურად და დემოკრატიულად განვითარებული ქვეყნისთვის შესაძლოა ძალიან რთული იყოს – ეს არის კოჰაბიტაცია. ამ პროცესში ჩვენ შევძელით და პოლიტიკური ციკლის პროცესი ბოლომდე მივიყვანეთ. 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია მთავრდება და ქვეყანას აღარ ეყოლება პრეზიდენტი, რომლის მიზანიც ქვეყნის დისკრედიტაცია, სასამართლო სისტემაში ჩარევა, აბსოლუტურად აბსურდული ვეტოები და რეალურად პროცესების საბოტირებაა. ეს 27 ოქტომბერს თქვენთან ერთად და თქვენი მეშვეობით მთავრდება.



მე ვიქნები პრეზიდენტი, რომელიც საზოგადოებასთან თანამშრომლობაში მუდმივად იქნება ჩართული, რომელიც მთავრობის პარტნიორი იქნება იმ რეფორმების პროცესში, რომელიც საქართველოში დაიწყო და უნდა გაგრძელდეს და რომელიც იქნება ბატონი ბიძინა ივანიშვილის პარტნიორი ქართული ოცნების ახდენის საქმეში“– განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ნიუსპრესი

# ამერიკის ნამდვილი სახე თუ განწირული სააკაშვილის პროვოკაცია

2011 წლის 26 მაისის ტრაგედია, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტუალობას არ კარგავს და ეს ტენდენცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება. უფრო მეტიც, ის აუცილებლად დაიკავებს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე „შავ“ ადგილს ბაზალეთის ომისა და სხვა მსგავსი ფაქტების გვერდით.

გარდა ეროვნული ტრაგედიისა, როდესაც საზოგადოება მომსწრე გახდა, თუ როგორ ეზიზღებოდა და ეშინოდა ხელისუფლებას საკუთარი ხალხისა, 26 მაისის ამბები პოლიტიკური ბრძოლის ერთგვარ იარაღადაც კი გადააქციეს და მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით ზოგი ქულების ჩაწერას, ზოგი კი ამა თუ იმ მხარის დაშანტაჟებას ცდილობს.

ხელისუფლების ცვლის შემდეგ, განსაკუთრებული სიმძაფრე 26 მაისის ამბებმა, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილისადმი ბრალის წაყენების დროს შეიძინა, როდესაც 26 მაისის ეპიზოდზე, ყოფილ ხერხემალს და უხერხემლო პრეზიდენტის ერთგულ ხელის ბიჭს, პროკურატურამ ბრალი წაუყენა.

სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია მიხეილ სააკაშვილის მიერ ნებსით თუ უნებლიეთ გაკეთებული განცხადება, რომელიც აღიარებითი ჩვენების ტოლფასი იყო და რომელიც პრაქტიკულად ადასტურებდა, რომ 26 მაისის სისხლიანი ტრაგედია, უშუალოდ ამერიკული სპეცსამსახურების ინსტრუქტაჟით და ზედამხედველობით ჩატარებულა.

სამწუხაროდ, სააკაშვილის ამ განცხადებაზე, რომელიც ნებისმიერ დასავლურ და განვითარებულ ქვეყანაში უდიდესი დიპლომატიური სკანდალის საფუძველი გახდებოდა, ამერიკულ მხარეს სერიოზული კომენტარი არ გაუკეთებია და ბატონი ნორლანდიც, რომელიც ნებისმიერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მოქალაქისთვის ალმაცერად შეხედვის შემთხვევაშიც კი, მყისიერ განცხადებას აკეთებს და „მეტი ცივილიზებულობისკენ“ მოგვიწოდებს, მიხეილ სააკაშვილის ამ სკანდალურ განცხადებაზე მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და აღნიშნა, რომ 26 მაისი საქართველოსთვის მძიმე თარიღი იყოო.

დიდი მადლობა ბატონო ნორლანდ თვალის ახელისთვის, მაგრამ იქნებ დაადასტუროთ, მართლაც ხელმძღვანელობდნენ თუ არა რუსთაველის გამზირზე ხალხის დახოცვას, ასეულობით ადამიანის დასახიჩრებას, ასეულობით ადამიანის დაპატიმრებას და ათასობით ადამიანის, მათ შორის ქალების უმოწყალოდ ცემასა და მხუთავი აირებით მოწამვლას ამერიკული სპეცსამსახურები?

ხოლო თუ არ ხელმძღვანელობდნენ, მაშინ სხვა თუ არაფერი, ელემენტარულად, თქვენი ქვეყნის პრესტიჟის დაცვა მოითხოვს, რომ ეს ფაქტი უარყოთ.

სააკაშვილის აღნიშნული განცხადებისთანავე გაჩნდა ეჭვი, რომ მან ეს ინფორმაცია სპეციალურად გაახმაურა, რითაც ამერიკელებს აგრძნობინა, რომ თუ უფრო აქტიურად არ დამიცავთ, კიდევ უფრო მეტ საიდუმლოებებს დავფქვავო.

თუ აქამდე ეს ვერსია რეალურ ჭრილში მეტ-ნაკლებად განიხილებოდა, დღეს უკვე აშკარად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილი ამერიკულ მხარესთან აშკარა შანტაჟზე მიდის, რისი დასტურიც, დღეს გავრცელებული დასკვნაა, რომელიც, თურმე, იმ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ დაწერილა, რომლებიც 26 მაისის სასაკლაოს თვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სპეციალური მონიტორებიდან ადევნებდნენ.

ეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროა, რომლის პირველი პირიც ვანო მერაბიშვილი იყო.

სანამ დასკვნის შინაარსის განხილვაზე გადავიდოდეთ, საინტერესოა დავსვათ კითხვა, როგორ მოხდა იმ დოკუმენტის გასაჯაროება, რომელიც როგორც აღმოჩნდა, საიდუმლო დოკუმენტთა ნუსხაში იყო და რომელიც მესამე წელია ისე ინახება, მისი არსებობის შესახებაც კი ძალიან ცოტამ თუ იცოდა.



ერთ-ერთი მხარე, რომელსაც ამ დოკუმენტზე წვდომა ჰქონდა, რა თქმა უნდა საქართველოს ყოფილი ხელისუფლება და „ნაციონალური მოძრაობა“ იყო.

სწორედ ეს ამყარებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილმა ამერიკული მხარის შანტაჟი დაიწყო და ის იმ შემთხვევაში, თუ „ძია სემი“ მას სათანადოდ არ უპატრონებს, მის წინააღმდეგ კიდევ არაერთ ინფორმაციას თუ მასალას გაასაჯაროებს.

ოფიციალური ვერსიით, დასკვნა თურმე იმის გამო გასაჯაროვდა, რომ გამოძიება ყოფილ ხერხემალს 26 მაისის ეპიზოდზე ედავება.

ვანო მერაბიშვილს 26 მაისთან დაკავშირებით ბრალი, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წაუყენეს. მაშ რას ელოდებოდნენ ამდენ ხანს ის პირები, ვინც ეს დასკვნა გაასაჯაროვა? იბადება საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ქმედების ვანო მერაბიშვილის დაცვის მოტივით გამართლება მხოლოდ შირმაა და მის უკან სააკაშვილის არცთუ კარგად შენიღბული შანტაჟი იკითხება, რომელიც აქვე შეიძლება ითქვას, რომ მას ძალიან ძვირად დაუჯდება.

ადვილი შესაძლებელია, რომ მიხეილ სააკაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის გუშინდელმა საქციელმაც გაამწარა, როდესაც ბატონი ნორლანდი, ბათუმში, სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის დროს, სიცილს ვერ იკავებდა და ეს გამოცდილი და ჩამოყალიბებული დიპლომატიც კი, ქვეყნის პრეზიდენტის ოფიციალურ სიტყვაზე რამდენჯერმე ჩაბჟირდა.

რიჩარდ ნორლანდი, თუ ამას ჟარგონის ენაზე ვიტყვით, ბათუმში მიხეილ სააკაშვილის სიტყვაზე, აშკარად და დაუფარავად „კაიფობდა.“

ამას ემატება მის მიერ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ გაკეთებული განცხადება, სადაც ელჩმა პრეზიდენტის ემოციურ ფონზე გააკეთა აქცენტი. ეს კი, დიპლომატიურ ენაზე ნიშნავს, რომ რიჩარდ ნორლანდმა სააკაშვილის გაუწონასწორებლობაზე, ანუ პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, სააკაშვილის სიგიჟეზე გააკეთა განცხადება.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამან გაამწარა მიხეილ სააკაშვილი და სწორედ მისი ხელდასმით გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით დაწერილი დასკვნა, რომლის შინაარსიც, რბილად რომ ვთქვათ, ქართველი ხალხის განწყობა-შეფასებასთან აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის და რამაც საზოგადოების აღშფოთება უკვე გამოიწვია.

ცალკე თემაა ამერიკის შეერთებული შტატების ორმაგი თამაში და ორმაგი სტანდარტი, რომელსაც ოდნავ ქვემოთ დავუბრუნდებით, მაგრამ ამ ნაბიჯით, მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა მიაყენა საქართველოში დასავლეთის და კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯს.

ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ამერიკული მხარე, თუმცა ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის განწყობიდან გამომდინარე, მათ საქართველოში, ხალხის დასაყრდენი ფაქტიურად სრულად დაკარგეს და ქართველ ხალხს ყველაფერი დასავლური, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც შეაზიზღეს და თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხელისუფლებამ არჩევნებთან ერთად, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პლებისციტიც ჩაატაროს, სადაც ქართველი ხალხის განწყობა ძალიან კარგად გამოჩნდება.

თავად დასკვნის შინაარსს რომ დავუბრუნდეთ, ის შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული მხარის მიერ ცინიზმის გამოვლენის აპოგეაა, როდესაც ისინი აცხადებენ, რომ 2011 წლის 26 მაისს პოლიციამ, ტერიტორიის დასატოვებლად მომიტინგეებს გზა სპეციალურად გაუხსნაო.

ცინიზმია აგრეთვე, როდესაც ამერიკული მხარე აცხადებს, რომ აქციის მონაწილეები „მოლოტოვის კოქტეილებით“ იყვნენ შეიარაღებულნი.

თვით ისეთმა უსინდისო ადამიანმაც კი, როგორიც ვანო მერაბიშვილია, ვერ გაბედა და აქციის მონაწილეების მანქანებში და „სახალხო კრების“ ოფისში ვერ შეიტანა „მოლოტოვის კოქტეილები,“ რადგან ეს რეალობასთან იმდენად შორს იქნებოდა, რომ საზოგადოების აგრესია კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით მომზადებულ დასკვნაში, სახეზე გვაქვს სულ მცირე ფაქტების გაყალბებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის აშკარა მაგალითები.

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ 26 მაისის საქმეზე დაკავებულ უამრავ ადამიანს, სასამართლომ ლამის ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრა „დაუმტკიცა,“ მაგრამ „მოლოტოვის კოქტეილების“ თემა იმდენად აბსურდული იყო, რომ ეს ბრალდება, არცერთი დაკავებულისთვის არ „შეუტენიათ.“

და მაინც, რას წერენ ამერიკელები 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით?

„რუსთაველის გამზირის ბლოკირების მიზნით, მომიტინგეებმა მეტალის ბარიერები გამოიყენეს, რომელიც ერთმანეთს მეტალის ტროსით გადააბეს და ქუჩის ბოძებს მიამაგრეს. ეს საქციელი შეიძლება გავიგოთ, როგორც პირდაპირი პროვოკაცია მომიტინგეთა მხრიდან.

ოპერაციის დაწყების წინ, პოლიციამ მომიტინგეებს მიტინგის სხვა ადგილას გადატანა შესთავაზა.

ოპერაცია დაიწყო იმით, რომ პოლიციელთა ერთმა ჯგუფმა გადაჭრა ტროსები და დაშალა მომიტინგეების მიერ აღმართული ბარიერები, პარლამენტის სამხრეთ მხარეს, რათა მომიტინგეებს შეძლებოდათ ტერიტორიის დატოვება.

ამის შემდეგ, პოლიციის მთავარი ძალები, დაიძრნენ ჩრდილოეთიდან. ადგილზე მყოფი 1000 მომიტინგედან, დაახლებით ორასმა, პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. მომიტინგეები შეიარაღებულნი იყვნენ ფარებითა და ხელკეტებით. არსებობს მტკიცებულებები, რომ მათ მოლოტოვის კოქტეილები ჰქონდათ. არსებობდა ასევე ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა შორის ცალკეულ პირებს, ლეგალურად ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი.

რამდენიმე მანქანა, რომლებიც პროტესტის ორგანიზატორებს და მათ მცველებს ეკუთვნოდა, თავისუფლების მოედნისაკენ დაიძრა და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ დაკავების ჯგუფებს შეხვდა. ჯგუფის მიზანი კანონდამრღვევთა დაკავება იყო. მანქანები არ გაჩერდნენ და პოლიციის რიგებში გაიარეს. შედეგად, დაშავდა 5 პოლიციელი, გარდაიცვალა 1 პოლიციელი და 1 სამოქალაქო პირი.

ოპერაციის ტაქტიკური გეგმა სრულფასოვანი იყო და ის დანაყოფების მეთაურებს გაცნობილი ჰქონდათ.

არსებობდა გეგმები მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებისთვის. არსებობდა დეესკალაციის გეგმაც. ოპერატიული ინფორმაცია სათანადოდ ეცნობოდა მეთაურებს და დანაყოფებს და საფუძვლად ედებოდა ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს. თავდაპირველად გამოყენებული რესურსები, მათ შორის, არასასიკვდილო და სპეციალური დანიშნულების საშუალებები, იყო თითქმის ადეკვატური მოსალოდნელი საფრთხისა.

არსებობს აშკარა მტკიცებულებები, რომ ოფიცერთა ძალიან მცირე ჯგუფის მიერ ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებულ გამოყენებას. შეშფოთებას იწვევს სპეციალური საშუალებების ზედმეტად აგრესიულად გამოყენების შემთხვევებიც, როდესაც ამის საჭიროება არ იყო. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ 26 მაისის ღამეს, ოფიცერთა უდიდესი უმრავლესობა მოქმედებდა დისციპლინირებულად, მუდმივად ასრულებდა ბრძანებებს და იყენებდა მიზნის მისაღწევად პროპორციულ და აუცილებელ ძალას. ეს ნათლადაა დადასტურებული“ – ნათქვამია ამერიკულ დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნდა.

ამაზე მეტი ცინიზმი, ამაზე მეტი უსინდისობა და ამაზე მეტი ცილისწამება, ალბათ წარმოუდგენელია.

ბატონო ნორლანდ, ახლა რომ სიცილით კვდებით ამ ადექვატურობის ჩარჩოებიდან დიდი ხნის წინ გასული კაცის ლაპარაკზე, სად იყავით მაშინ, როდესაც ეს კაცი, თქვენი სახელით საკუთარ მოქალაქეებს ჟლეტდა და ამას დემოკრატიად ასაღებდა?

მაშინ თქვენ და თქვენი სახელმწიფო მესვეურებიც, არნახულ ქართულ დემოკრატიაზე ლაპარაკობით და ყველანაირად ცდილობდით სააკაშვილის შავი საქმეები გაგეთეთრებინათ.

ძნელი სათქმელია, რამდენად მიაღწევს სააკაშვილი, თავისი შანტაჟით, მიზანს და რამდენად მიიღებს ის ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას, ვინაიდან მიშა, ამერიკის მიერ უკვე გამოყენებული ობიექტია და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ის მავრი, რომელიც თავის საქმეს შეასრულებს, მიდის და მას ვაშინგტონი „ცრემლიანი თვალებით“ არ აცილებს, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, თავადვეა დაინტერესებული, რომ „საკუთარი ძაღლიშვილი“ სტივენსონის ფორმულის მიხედვით – „მკვდრები არ ლაპარაკობენ“ გაანეიტრალოს.

სხვათა შორის, ყველაფერს აკეთებს სააკაშვილიც, რომ მისი ლიკვიდაციით მართლაც დაინტერესდნენ.

რაც შეეხება ამერიკის ინტერესებს საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას და მთლიანად დასავლეთს, ქართულ საზოგადოებაში დასაყრდენი აღარ აქვს და კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ ქართველი ხალხი დაივიწყებს დასავლურ ორმაგ სტანდარტებს და კვლავ პროამერიკული პოლიტიკური ძალის უპირობო მხარდამჭერი გახდება.

რაც შეეხება ამერიკული მხარის დასკვნას, კიდევ ერთხელ მივუბრუნდები და ვიტყვი, რომ ის, რაც სააკაშვილმა თბილისში 2011 წლის 26 მაისს ჩაიდინა, ამერიკაში რომ მომხდარიყო, დღეს თეთრი სახლის ნანგრევებიც კი აღარ იქნებოდა დარჩენილი. თუმცა, სწორედ ამერიკის და არა სხვა ვინმეს გამო, მიხეილ სააკაშვილს საკუთარ ხალხზე ჩატარებული ექსპერიმენტები, წლების განმავლობაში, ხახვივით შერჩა და როგორც მოსალოდნელი იყო, თუ მიშა აქამდე მხოლოდ საქართველოსთვის იყო მაოხრებელი გზირი, დღეს მან ამერიკის იმიჯის აოხრება-გაოხრებაც დაიწყო.

რამდენად შეეგუება ამ ყველაფერს შეერთებული შტატები, დრო გვიჩვენებს, მანამ კი გამორიცხული არ არის, რომ მიშას წყალობით, კიდევ ისეთი სკანდალური საქმეები გახმაურდეს, რომელიც დასავლეთის იმიჯს არა მარტო ქართული საზოგადოების თვალში, არამედ მთელ მსოფლიოში მიაყენებს დარტყმას.

**ალეკო ჩუბინიძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი“**

## მესაზღვრეებმა სომხეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველოს (წითელი ხიდი) ტერიტორიაზე, №6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო განწესმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ტიგრან ავეტისიანი დააკავა, რომელმაც სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს.

გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## ირანის მოქალაქეს საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერება შემოჰქონდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა, ირანის მოქალაქის მიერ საქართველოში ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანის მცდელობა აღკვეთეს.

ირანის მოქალაქე საქართველოში საბაჟო გამშვები პუნქტ „ვალეს“ ტერიტორიიდან შემოვიდა.

მას ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, კერძოდ - ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ - 20 აბი, ნარკოტიკული საშუალება „დიფენოქსილატი“ - 8 აბი, ფსიქოტროპული საშუალება „ალპრაზოლამი“ - 91 აბი და ფსიქოტროპული საშუალება „ნიტრაზეპამი“ - 6 აბი შემოჰქონდა.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შსს ახალციხის რაიონის საპატრულო პოლიციის განყოფილებას გადაეცა.

**ნიუსპრესი**

## შსს-ს თანამშრომლებმა დაკარგული პოლონელი ტურისტები იპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენტეხის რაიონული სამმართველოს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, უშგულის და ლენტეხის სასაზღვრო ზოლში, ლატფარის მთებში, პოლონელი ტურისტების საძიებო-სამაშველო ღონისძიებები განახორციელეს. მაჩეი ტომაშევსკიმ და ლიდია ბაშჩუკმა, რომლებიც სალაშქროდ უშგულში წავიდნენ, ლენტეხში უკან მობრუნება ლატფარის მთებით გადაწყვიტეს, რა დროსაც გზა აებნათ და დაბრუნება ველარ შეძლეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ტურისტებმა პოლონეთის საელჩოსთან დაკავშირება მოახერხეს, რის შემდეგაც საელჩომ დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. ლენტეხის რაიონული სამმართველოს,სახანძრო და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით პოლონელ ტურისტებს მიაკვლიეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებენ.

**ნიუსპრესი**

# „ბე“ ჰეპატიტის შემთხვევები იმუნიზაციის ხარჯზე მცირდება

მერი ნამორაძე

**საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც კარგად იცის ჰეპატიტის სიმძიმე, ელოდება, როდის გაიაფდება ამ დაავადების მკურნალობა საქართველოში. დაპირება ხელისუფალთაგან არსებობს და მალე, ალბათ, აღსრულდება კიდეც. დაავადების სიმძიმე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, რომ ისინი ქრონიკული ჰეპატიტის ვირუსის მატარებლები არიან. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ჰეპატიტის ვირუსით, მილიონობით ადამიანი კი დაინფიცირების რისკის ქვეშაა. დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად ჰეპატიტთან ასოცირებული ღვიძლის დაავადების შედეგად, უმეტეს შემთხვევაში ციროზით და ღვიძლის კიბოთი.**

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ჰეპატიტის ინფექციასთან დაკავშირებული დაავადებების ტვირთი დიდია, ბევრ ქვეყანაში ამ პრობლემასთან მიმართებაში არ გამოიყენება კომპლექსური მიდგომა. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ათწლეულების მანძილზე ჰეპატიტი მიმდინარეობს უსიმპტომოდ, ვიდრე არ ჩამოყალიბდება ღვიძლის ქრონიკული დაავადება. ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ დღეს სახეზეა „ფარული ეპიდემია“.

ვირუსული ჰეპატიტი დიდი ტვირთია აგრეთვე ჯანდაცვის სისტემისთვისაც, რადგანაც ღვიძლის კიბოს და ციროზის დროს ღვიძლის უკმარისობის მკურნალობა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. ბევრ ქვეყანაში ვირუსული ჰეპატიტით გამოწვეული ღვიძლის უკმარისობა წარმოადგენს ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძირითად მიზეზს. მსგავსი მკურნალობა ბოლო სტადიაზე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და შეადგენს ასი ათასობით დოლარს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 150 მლნ ადამიანია ინფიცირებული „ცე“ ვირუსით, ლეტალობის ზოგადი კოეფიციენტი დაახლოებით 0,5%-ს შეადგენს. ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსები განსხვავდებიან გადაცემის მექანიზმით, დაავადების სიმძიმითა და ქრონიკული მიმდინარეობის თავისებურებებით.

„ა“ და „ბე“ ვირუსული ჰეპატიტების გადაცემა ხდება ფეკალურ-ორალური მექანიზმით, დაბინძურებული საკვებითა და წყლის საშუალებით (დაბინძურებული წყლით გავრცელების შემთხვევაში ახასიათებთ ეპიდაფეთქება). ახასიათებთ დაავადების მსუბუქი, საშუალო და ზოგჯერ მძიმე მიმდინარეობა. დაავადების ქრონიკული ფორმების ჩამოყალიბება არ ხდება, ყალიბდება მყარი იმუნიტეტი, რაც იცავს ორგანიზმს განმეორებითი დაავადებისაგან. არსებობს „ა“ ვირუსული ჰეპატიტის ეფექტური ვაქცინა. დაავადების ძირითადი შემთხვევები მოდის 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, აღრიცხული ვირუსული „ბე“ ჰეპატიტის შემთხვევების 12%-იანი კლება შეინიშნება. კლება გამოწვეულია როგორც მწვავე, ისე ქრონიკული შემთხვევების ხარჯზე. დაავადების შემთხვევების დიდი ნაწილი გვხვდება 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილი შემთხვევების წილი 2010 წელს 1%-ს შეადგენდა (დაავადება არ გამოვლენილა აცრილ კონტინგენტში). „ბე“ ჰეპატიტის ფორმების განაწილებაზე დაკვირვების შედეგად სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ დაავადების გადაცემის ახალი შემთხვევები ახალშობილთა გეგმიური იმუნიზაციის დაწყების შემდეგ მცირდება.

რაც შეეხება „ცე“ ჰეპატიტს, იგი „ცე“ ვირუსით გამოწვეული ღვიძლის დაზიანებით მიმდინარე გადამდები დაავადებაა, რომლის კლინიკური მიმდინარეობა შეიძლება მერყეობდეს მწვავე რამდენიმეკვირიანი მსუბუქი მიმდინარეობიდან ქრონიკულ მიმდინარეობამდე მთელი სიცოცხლის მანძილზე. დაავადების გავრცელება ხდება ინფიცირებული პირის სისხლის მოხვედრით ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში. „ცე“ ვირუსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვიძლის დაავადებების გამომწვევ ვირუსებს შორის, რომლითაც მსოფლიოში ყოველწლიურად 3-4 მლნ. ადამიანის დაინფიცირება ხდება, 150 მლნ.-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს დაავადების ქრონიკული ფორმით და ციროზის და/ან ღვიძლის კიბოს განვითარების რისკის ქვეშ. 350 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად „ცე“ ჰეპატიტთან ასოცირებული ღვიძლის დაავადების გამო.

ეს ვირუსი გადაეცემა ინფიცირებული პირის სისხლთან კონტაქტის გზით და განკურნებადია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენებით. მისი საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, თუმცა ამ მიმართულებით სამედიცინო კვლევები გრძელდება.

„ცე“ ჰეპატიტის ვირუსი ვრცელდება ინფიცირებული პირის სისხლთან კონტაქტისას შემდეგი გზების საშუალებით: ვირუსის შემცველი სისხლის და სისხლის პროდუქტების გადასხმით, ორგანოთა გადანერგვით. სამედიცინო დაწესებულებებში ვირუსით დაბინძურებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით. ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მოხმარებისას, ვერტიკალურად – ინფიცირებული დედიდან შვილზე.

ასევე ინფიცირებულთან სქესობრივი კონტაქტით ან მასთან საერთო ბასრი და მჭრელი საგნების გამოყენებით. „ცე“ ჰეპატიტი არ ვრცელდება ძუძუთი კვებით, წყლით, საკვები პროდუქტებით, კოცნით, ჩახუტებით, ინფიცირებულთან საერთო საკვების ან სასმელის გამოყენებით.

„ცე“ ჰეპატიტის ინკუბაციური პერიოდი 2 კვირიდან 6 თვემდე მერყეობს. დაავადებულთა დაახლოებით 80%-ს სიმპტომები არ უვლინდებათ. მწვავე მიმდინარეობის შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: ტემპერატურა, დაღლილობა, მადის დაქვეითება, გულის რევა, ღებინება, მუცლის ტკივილი, მუქი შარდი, სახსრების ტკივილი.

ახლად დაინფიცირებულთა 75-85%-ს უვითარდება ქრონიკული ფორმა, რომელთა 60-70%-ს უყალიბდება ღვიძლის ქრონიკული დაავადება, მათგან 5-20%-ში ვითარდება ციროზი, ხოლო 1-5%-ში გარდაცვალება ციროზის ან ღვიძლის კიბოს გამო.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები ამბობენ, დაავადების მწვავე ფაზის დიაგნოსტიკა ხშირად ვერ ხერხდება უმეტესად უსიმპტომო მიმდინარეობის გამო. ანტისხეულების გამოვლენის ძირითადი ლაბორატორიული მეთოდით შეუძლებელია მწვავე და ქრონიკული ფორმების დიფერენცირება. სისხლში ანტისხეულების 6 თვეზე მეტი ხნით არსებობა დაავადების ქრონიკული ფორმის მანიშნებელია. ღვიძლის დაზიანების ხარისხის შეფასების, ციროზის და კიბოს გამოვლენის მიზნით აუცილებელია სპეციფიკური გამოკვლევის ჩატარება.

# მაია მიმინოშვილი: „სექტემბრიდან პედაგოგთა სერტიფიცირების პროგრამის სრულყოფა დაიწყება“

მერი ნამორაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრის რიტორიკა აშკარად შეცვლილია პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით. თავდაპირველად თუ არასახარბიელოდ შეფასდა შედეგები, ამჯერად გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი ამბობს, რომ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად დრამატული სურათი არ გამოხატულა. მისი თქმით, მიუხედავად საზოგადოებაში ატეხილი აჟიოტაჟისა, ეს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პირველი შემთხვევა არ ყოფილა, პროცესი 2010 წლიდან დაიწყო და ამ წლების განმავლობაში შედეგები დაახლოებით ერთნაირი იყო.



გამოცდების ეროვნულ ცენტრს პედაგოგთა ნაწილმა „ბრალად“ ის ფაქტი წაუყენა, რომ გამოცდები საგაკვეთილო პროცესზე ორიენტირებული სულაც არ არის და კურიოზულია ის ფაქტი, რომ თავად პედაგოგები ვერ აბარებენ გამოცდას, მათ მიერ მომზადებული აბიტურიენტები კი თავისუფლად ხდებიან სტუდენტები. დღევანდელ განათლების სისტემის მესვეურებს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მაინცდამაინც თავს არ იკლავენ.

მაია მიმინოშვილის განცხადებით, მისთვის მიუღებელია იმ პოლიტიკოსების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდების უარყოფითი შეფასება, რომლებსაც წლების განმავლობაში ეხებოდათ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება.

მისივე თქმით, ისევე, როგორც სხვა წლებში, წელს მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, თუმცა მიმინოშვილის აზრით, რამდენიმედღიანი ტრენინგი, რომელიც ტესტის ჩაბარებაზეა ორიენტირებული, სურათს ვერ შეცვლის. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, ოქტომბერში მან გააცნო არსებული სიტუაცია ახალ მინისტრს გიორგი მარგველაშვილს და მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამ პრობლემას სერიოზულად მოეკიდონ.

პედაგოგთა გასახარად, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სასერტიფიკაციო პროგრამის სრულყოფაში მოსაყვანად მსოფლიო ბანკისგან მიიღო გრანტი. შესაბამისად, გამოცდების ეროვნული ცენტრი, განათლების სამინისტროსთან ერთად, სექტემბრის თვიდან სერტიფიცირების პროგრამის სრულყოფაზე ინტენსიურ მუშაობას დაიწყებს.

# ზემოიმერულმა ჩაიმ თურქები დააინტერესა

როლანდ ხოჯანაშვილი

საქართველოს დაახლოებით საბჭოური ჩაის წარმოების 94% ეკუთვნოდა. დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, რომლის ჰიფსომეტრია 700 მეტრამდეა, ჩაის კულტურა იყო გაშენებული და მოსახლეობისათვის სოლიდურ შემოსავალს იძლეოდა. ჩაქვში გაშენებულმა კულტურამ თავდაპირველად ვერ მოიპოვა დიდი პოპულარობა, რადგან რუსების მიერ გაშენებული ჩაი არ იძლეოდა მაღალხარისხოვან პროდუქციას და ძირითადად ე.წ. ,,სალდათის ჩაის“ მზადდებოდა. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ მე-19 საუკუნის რუსეთის არმიის კვებისათვის მაღალხარისხოვან პროდუქციას არ იმეტებდნენ. არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც ჩვენთან ჩაი ჩინეთიდან მიხეილ ერისთავს შემოუტანია. მას ტროსტში ჩაყრილი თესლი მალულად შემოუტანია მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და გაუშენებია კიდეც. სხვათაშორის, ანალოგიურ ისტორიას ჰყვებიან აბრეშუმის ,,გამოპარებაზეც“. ასევე თურქებიც ამბობენ, რომ გურიიდან ქოლგის ტარში ჩამალული თესლი გაუტანიათ და მოუშენებიათ. რამდენად სწორია ჩაის ასე კონსპირაციული მოშენება, ნაკლებად ადარდებთ დღეს მეწარმეებს, რადგან ჩაიზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადია და კონკურენციის მწვავე პირობებში უწევთ ბრძოლა მარკეტინგული თვალსაზრისით. მწვანე და შავი ჩაის წარმოება მთელ რიგ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს ითვალისწინებს, თუმცა მწვანე ჩაის წარმოებისთვის ნედლეულიც სათანადოდ უნდა შეირჩეს, მისთვის მხოლოდ ,,რიბა“ (თევზა) ფოთლები გამოდგება, ანუ ქორფა ყლორტის უკანასკნელი ორი ან სამი ფოთოლი, შავი ჩაის საწარმოებლად კი ეს აუცილებლობა არ არის. ყველაზე ადვილად ,,აგურა ჩაი“ იწარმოება, ანუ ეს არის უხარისხო ნედლეულით დამზადებული პროდუქტი, რომელიც მხოლოდ განვითარებად სამყაროში იყიდება.

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ საქართველოს აგროკლიმატური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 15 რესპუბლიკიდან მხოლოდ ჩვენს ქვეყანას შეეძლო საბჭოური ელექსირის, ჩაის, წარმოება (საბჭოეთში დოგმატურად იყო გავრცელებული ჩაის სმა. ჩაის კომუნისტები ელექსირს უწოდებდნენ. სსრკ-ში ყავა იშვიათობა იყო და კაპიტალისტურ სამყაროსთან ასოცირდებოდა, თუმცა პარადოქსულად, ე.წ. ჩაის ჭიქას საქართველოში უფრო ღვინის სასმისად იყენებდნენ და არა ჩაისათვის). აზერნაიჯანსა და მოლდოვეთს, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის დიდი პოტენციალი ჰქონდა, ამ მიმართულებით არ შეეძლოთ ემუშავათ და მსოფლიოს მესამედზე განფენილი იმპერია დაეკმაყოფილებინა ჩაის მარაგით). გასაბჭოების შემდეგ კიდეც დაიწერა მაშინდელი სოცრეალიზმისთვის დამახასიათებელი ლექსი: ,,სადაც ჩხაოდა მელა და ტურა, იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა.“





ძირითადად ხელით ხდებოდა მიწის ღრმად დამუშავება და ჩაის გაშენება, ახლაც შეგხვდებათ საქართველოში მოხუცი თაობა, რომელსაც კარგად ახსოვს ის მძიმე სამუშაოები, რომელიც მათ კისერზე გადატარდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ჩაის წარმოება ჩაკვდა, იყო მცდელობა, რომ აღორძინებულიყო 1993 წლიდან (მახსენდება ქუთაისში არსებული საპაიო უზარმაზარი სისტემა ,,ოქროს საწმისი“, რომელმაც ბევრი კარგი საქმეც გააკეთა, თუმცა ბოლოს ჩამოიშალა და ჩაის წარმოების პერსპექტივამაც ათწლეულობით გადაიწია). ის დიდი საწარმოო პროცესი, რომელიც ჩაიმ ჩვენს ფინჯნამდე უნდა გამოიაროს (ჩაის ბუჩქის მოვლა, ფოთლის მოკრეფა, დახარისხება, ნედლეულის ფაბრიკამდე ტრანსპორტირება, ფოთლის დაგრეხვა-დამუშავება, გამოშრობა, ნახევარფაბრიკატად ქცევა და მისი გასუფთავება, საბოლოო გაწმენდა-ფილტრაცია, დაფასოება) ყველა ნიუანსის დაცვით უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უხარისხო პროდუქტი დაგვრჩება ხელთ.

ჩვენში ჩაის უპერსპექტივობას მოჰყვა პლანტაციების ან აჩეხვა, ან გატყევება. სამაგალითოდ გეტყვით, რომ ჭიათურაში არსებული ჩაის 250 ჰექტარი დღეს არასაექსპლოატაციო ფორმაშია. საკმაოდ საეჭვო პირობებში გაიყიდა ათეულობით ჰექტარი ჩაის ფართობები ძალიან მცირე თანხებში. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ჭიათურაში მიწების მალული და იაფი შესყიდვა ძირითადად მოხდა ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისაგან, ან ამ პოლიტიკურ ძალასთან დაახლოებული პირებისაგან. ჩაის პლანტაციების ნაწილი გაუყიდველია, თუმცა ისეთ ადგილებზე, სადაც მისი გამოყენების შანსი ძალიან დაბალი იყო. ,,დაწუნებული“ პლანტაციები ან ფერდობებზეა, რაც სამოსახლო-სამეურნეო თვალსაზრისით არამომგებიანია შედარებით. ამ ბოლო პერიოდში დაიწყეს საუბარი მცირე ფერმერული ნაკვეთების დამსხვილებაზე, რომლისთვისაც კოოპერირება საჭიროა. უკვე საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი კოოპერირების შესახებ, რომელიც შემოდგომიდან ამოქმედდება, თუმცა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მაინც პოზიტივია. კოოპერირების შემოღებას კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში წარმოების ორგანიზება მოჰყვება, რაც გამოიწვევს პროდუქციის დაგროვებას. ჩვენს პირობებში შეიძლება საჰექტარო მოსავლიანობა 5 ტონა ნედლეულით განისაზღვროს, რაც ერთ ტონაზე მეტ ბაიხის ჩაის ექვივალენტია, საბაზრო ფასი მზა პროდუქციაზე ხარისხის მიხედვით 10-დან 40 ლარამდე მერყეობს, ეს არც ისე ცუდი მაჩვენებელია.

საერთოდ, როცა სოფლის მეურნეობაზე საუბრობენ, კვეზერელის ,,მამალი ძროხები“, გიგლა აგულაშვილის მიერ კამეჩის მაწონზე აპელირება და კიდევ არაერთი საკითხი ირონიულად ახსენდებათ, მაგრამ უკვე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში პოზიტივები ჩნდება. 180 მილიონი, რომელიც ფერმერებმა ბარათების სახით მიიღეს, მართალია, ხარვეზულად, სერიოზული კაპიტალდაბანდებაა, უფრო კი–სუბსიდირება. ლიზინგი, მოტობლოკების გადაცემა კოოპერირებული ფერმერებისათვის, სესხი დაბალი საპროცენტო განაკვეთი ქმნის მოტივაციას, რომ სოფლის მეურნეობაზე სერიოზულად დავფიქრდეთ და მატერიალურ ფასეულობაზე გვქონდეს აქცენტები.

ორიოდე დღის წინ ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქ ხოფიდან ჩამოსულ მამედ და მანანა გულერებს შევხვდი. მათ თურქეთში აქვთ ჩაის წარმოება და ვთხოვე, რომ მუნიციპალიტეტში ერთად შევხვედროდით ხელმძღვანელ პირებს, რომლებთანაც ჩაის წარმოების აღორძინების პერსპექტივებზე ვისაუბრებდით. უკვე მოხერხდა გამგეობისა და მაჟორიტარის მათთან შეხვედრა. სავარაუდოდ, გულერების მსგავსად სხვა პირებიც დააპირებენ ჩაის წარმოებას და ის სოფლები, რომლებიც ადრე მთლიანად ჩაის წარმოებაზე იყო დამოკიდებული, გამოცოცხლდება. გულერებს აქვთ იდეა, რომ ქართულ ბაზარზე ქართული ჩაის ბრენდი ჩამოყალიბდეს, რომელიც წარმატებული იქნება და კონკურენციის პირობებში ნელ-ნელა განდევნის დაბალ და საეჭვო ხარისხის პროდუქციას დახლებიდან. როცა ასეთი იდეები და შემთხვევები გვხდება, უკვე ფიქრობს ადამიანი, რომ ყინული დაიძრება და ოდესმე საქართველოსაც ექნება თავისი ეკონომიკა, რომელიც სახელმწიფოებრიობის საფუძველია.

# რა ელის საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი ტერიტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაშია. ხოლო კომპანია „ემ ერ ჯი გოლდი“ ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოძიება-მოპოვების ლიცენზიას ფლობს.

— საყდრისის უძველესი მაღაროს ტერიტორიაზე აზომვითი სამუშაოების ჩასატარებლად ვიყავი მისული, რომელსაც ნებართვა არ სჭირდება, როდესაც პოლიციელები მოვიდნენ და განმიცხადეს, რომ საყდრისის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ გვქონდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ემ ერ ჯიგოლდ“-ს აქვს შეტანილი საჩივარი პროკურატურაში, რომ ჩვენ უნებართვოდ გათხრებს ვაწარმოებთ. ჩვენ იქ გათხრები არ ჩაგვიტარებია. სამი საათი ვიჯექი პოლიციაში, ასევე ჩვენი სტუმრები იყვნენ სამი საათი კიდევ პოლიციაში, გამოკითხვა გვქონდა, რომ იქ არქეოლოგიური გათხრები არ ჩაგვიტარებია, როცა ასეთი გართულებული მდგომარეობაა, პროვოცირებას არ გავაკეთებინებთ. პროკურორმა დაურეკა პოლიციას, პოლიციამ კი მეცნიერთა ჯგუფი საყდრისის ტერიტორიიდან გამოგვიყვანა.

მისივე თქმით, საქმეში მხოლოდ კულტურის მინისტრის მარინე მიზანდარის ჩარევის შემდეგ ისევ მისცეს ტერიტორიაზე შესვლის უფლება. ირინე ღამბაშიძე ეკონომიკის სამინისტროსგან ნებართვას ელის, რომლის საშუალებითაც საყდრისის ტერიტორიაზე შესვლის უფლება ოფიციალურად ექნება:

— ოფიციალური ნებართვის მოთხოვნა პირველ აპრილს მაქვს შეტანილი და ვერ ველირსე მაგის მოცემას. როცა 10 დღეში უნდა მოეცა ეკონომიკის სამინისტროს, მომცა ორ თვეში და მეორე დღესვე „ემ ერ ჯი გოლდ“-მა შეიტანა საჩივარი, რომ ჩემს ტერიტორიაზე რატომ აძლევთ ამას არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების უფლებასო და დაიწყო სამართლებრივი კვლევა, რომელიც თვენახევარია გრძელდება. კინოს სახლში შეკრებილებმა სწორედ იმ საფრთხეზე ისაუბრეს, რაც მსოფლიოში უძველეს ოქროს საბადოს ემუქრება. „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ წევრები ასევე დაინტერესდნენ რა მდგომარეობაა ამ დროისათვის საყდრის-ყაჩაღიანში. ისტორიკოსებისთვის, მეცნიერებისთვის და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ფოტომასალა იყო წარმოდგენილი და მათ საშუალება მიეცათ არსებულ ვითარებას გაცნობოდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შემდეგ უძველეს საბადოს საფრთხე ემუქრება. სპეციალისტების თქმით, 15 სექტემბრამდე მიცემული ვადა სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევისთვის საკმარისი არ არის და თუ იქ ოქროს მოპოვება აღდგება, ძეგლი განადგურდება. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საბადოსთვის ძეგლის სტატუსის სასწრაფოდ აღდგენას ითხოვენ. ბოლნისში მდებარე საყდრისის მაღაროს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულით თარიღდება, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი 5 ივლისს, კულტურის მინისტრის ბრძანებით მოეხსნა.

საყდრისის ოქროს მაღაროს გადარჩენას ითხოვს ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფიც. მათი თქმით, 5.400 წლით დათარიღებული საყდრისის ორქოს მაღაროსთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას გადაწყვეტილებით, უპასუხისმგებლობაა. ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი რაულ გვეტაძე აცხადებს, რომ ძეგლის გადატანის მიზეზი ის 20 ტონა ოქროა, რომელიც მის მიმდებარე ტერიტორიაზეა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრომ სპეციალური განცხადებაც გამოაქვეყნა:

„კომპანია „ემ ერ ჯი გოლდ“-ის 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“, რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომლის 77-ე მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რის შედეგადაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის 3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი — საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩარიანის უძველესი ოქროს მაღარო“ სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. №3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის („5. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“) და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა („2. დაუშვებელია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“).

ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება, არქეოლოგიური კუთხით, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას.

კომისიის სხდომებზე წარდგენილი იქნა გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მეტალურგიული, და მასალათა გამძლეობის დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად, საყდრისის ტერიტორიაზე დაწყებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა უპირობოდ გამოიწვევს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 ივლისს, გამოცემული იქნა №03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას.

ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მოპოვებული კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის“ ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას“. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული“.

**ეკა ირემაშვილი**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემებისმოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლატვიას დაუპირისპირდება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სადებიუტო მატჩამდე ამხანაგურ შეხვედრას რიგაში ჩაატარებს. ალექსანდრე ჩივაძის გუნდი ლატვიის დედაქალაქში 12 აგვისტოს გაემგზავრება. 21 წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლატვიასთან დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრისათვის 20 ფეხბურთელი გამოიძახა. ტრავმის გამო გუნდს ჯამბულ ჯიღაური ( ჩიხურა) და ლაშა დვალი (სკონტო, ლატვია) გამოაკლდა.

ახალგაზრდული ნაკრები რიგაში 18 ფეხბურთელით გაემგზავრება:

მეკარეები: გიორგი ნადირაძე (სპარტაკი), კახა მეშველიანი (ზესტაფონი);

მცველები: სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), მამუკა კობახიძე (დილა), თედორე გრიგალაშვილი (ზესტაფონი), ნიკა კვეკვესკირი (სპარტაკი), არჩილ ტვილდიანი (სიონი),დავით უბილავა (ტორპედო);

ნახევარმცველები: ბესიკ დეკანოიძე (ჩიხურა), გიორგი ილურიძე (დილა), მერაბ გიგაური (ტორპედო), ლაშა ჩაფიძე (სპარტაკი), ლაშა პარუნაშვილი (სიონი), გიორგი პაპავა (დინამო თბ);

თავდამსხმელები: გიორგი ჭანტურია, ვალერი ყაზაიშვილი (ორივე ვიტესი, ჰოლანდია), დავით სხირტლაძე (ორჰუსი, დანია), ნიკა კაჭარავა (რუბინი, რუსეთი).

ალექსანდრე ჩივაძის გუნდი ლატვიასთან ამხანაგურ შეხვედრას რიგაში , 14 აგვისტოს, ადგილობრივი დროით 17 საათზე გამართავს. ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სადებიუტო მატჩს კი, ქართველი ფეხბურთელები 5 სექტემბერს ლუქსემბურგში ჩაატარებენ.

# ძალოვანთა მედლები ოლიმპიადიდან

ირლანდიაში, ქალაქ ბელფასტში გამართულ „მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრებმა წელს, პირველად იასპარეზა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში 12 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიადაზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მსოფლიოს 80 ქვეყნიდან ათასობით პოლიციელი სპორტის 70-მდე სახეობაში ასპარეზობდა. შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, წელს მათ საქართველოს შსს-ს თანამშრომლებიც შეუერთდნენ.

ქართული დელეგაცია ოლიმპიადაზე 16 სპორტსმენით წარსდგა, რომლებსაც წარმატებული სპორტული კარიერა ჰქონდათ და დღემდე აქტიურად არიან ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

პოლიციელები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, სპორტის 7 სახეობაში მონაწილეობდნენ: ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ძალოსნობა, მკლავჭიდი, კრივი, სროლა, ცურვა.

2-2 ოქროს მედალი (მარჯვენა და მარცხენა ხელით) მოიპოვეს მკლავჭიდელებმა თენგიზ ედილაშვილმა, ვლადიმერ კობახიძე, და ლევან საგინაშვილმა.

ასევე ოქროსმედალოსნები გახდნენ: ედუარდ იმერლიშვილი (კრივი), ზვიად ჩინჩალაძე, ნოდარ მჭედლიშვილი, ზაზა გულაშვილი, გიორგი ბოლოთაშვილი, (ყველა ძიუდო), იოსებ ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);

ვერცხლისმედალოსნები: გიორგი ბერძენიშვილი (ცურვა), უშანგი კუზანაშვილი (ძიუდო), ვასილ მინდორაშვილი (ძალოსნობა);

ბრინჯაოსმედალოსნები: ავთო მამალაძე (ძალოსნობა), გელა გელაშვილი (მკლავჭიდი);

შს სამინისტრო მომავალში „მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადა“-ზე სპორტის უფრო მეტ სახეობაში მონაწილეობას გეგმავს.

# ჩემპიონმა მოგებით დაიწყო

**დინამო (თბილისი) – ზესტაფონი 2:1**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 მერებაშვილი (27), 1:1 ქობალია (47), 2:1 ჩისკო (90)

**დინამო:** ლორია, ხურცილავა (გლიშიჩი 89), კვარაცხელია, გველესიანი, კვირკველია, ხმალაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, მერებაშვილი, ჩისკო, ვუო (გოგა 62), დვალი (ხოჭოლავა 87)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ტერზიჩი, კაჭკაჭიშვილი, თედო გრიგალაშვილი, კანდელაკი, რენე ფერეირა (გაგოშიძე 80), შარიქაძე, სამუშია (სარდალიშვილი 60), ადამია, ჭანტურიშვილი (კიკნაველიძე 84), ქობალია



ბოლო დროის საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ ცენტრალურ დაპირისპირებად მიჩნეული ჯახი საინტერესო სანახავი გამოდგა. არადა, სეზონის დასასრულს „ზესტაფონში“ წარმოქმნილი ფინანსური გაუგებრობის გამო, გუნდმა შეკრება სეზონის დაწყებამდე 3 კვირით ადრე დაიწყო და არსებობდა საფრთხე, სტარტს მოუმზადებელი შეხვედროდა. თუმცა, მარგველებმა მაინც მოახერხეს შეკრების გავლაც და რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებაც.

ახალ ჩემპიონატს იმერლები ახალი მთავარი მწვრთნელითა და განახლებული შემადგენლობით შეხვდნენ. სერბმა სპეციალისტმა რატკო დოსტანიჩმა და რამოდენიმე ფეხბურთელმა, მათ შორის ლეგიონერებმა, პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარეს კლუბში. „დინამომ“ კი უკვე 4 ოფიციალური მატჩის გამართვა მოასწრო და არც ახალწვეულები ჰყავდა იმ რაოდენობის, რომ შეთამაშების პრობლემა ჰქონოდა. აქედან გამომდინარე, თბილისელთა უფრო იოლ გამარჯვებას ველოდით, მაგრამ ეს მხოლოდ მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში მოახერხეს.

ერთადერთი სიახლე დინამოელთა ტაქტიკური მონახაზი იყო – დუშან უჰრინმა პირველად გამოიყვანა მოედანზე დვალის და ვუოს დუეტი, რამაც ესპანელი ჩისკო მარჯვენა ფლანგზე გადაწია, ხოლო მერებაშვილი მარცხნიდან ირჯებოდა.

პირველი ათი წუთი გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს, ორივე მათგანი ცდილობდა ბურთზე კონტროლის დაწესებას, თუმცა უპირატესობის დაუფლება ვერცერთმა მოახერხა.

პირველი მეტ-ნაკლები ხიფათი „დინამოს“ კართან შეიქმნა, როდესაც ჭანტურიშვილი ურტყამდა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ არაზუსტად. საპასუხოდ, მერებაშვილის ფლაგზე აქტიურობის შემდეგ, ვუო ვერ გაერკვა მეკარის საჯარიმოში და მომენტიც განიმუხტა. მომენტი შეექმნა ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებულ გიორგი ადამიასაც, თუმცა მისი დარტყმული ლორიამ იოლად მოიგერია.

21-ე წუთზე „ზესტაფონის“ კარი ნამდვილად გადარჩა, ჩისკოს მოწოდებული ჯარიმის შემდეგ, დვალი თავით გზავნიდა ბურთს კარში, მაგრამ მრგვალი სფერო მცველს მოხვდა.

ანგარიში კი 28-ე წუთზე გაიხსნა – ზესტაფონელთა მიერ შეტევაში დაკარგულ ბურთს, სწრაფი კონტრიერიში მოყვა, დვალმა თავით მერებაშვილს გაატანა ბურთი, ამ უკანასკნელმა კი ეფექტური სოლო რეიდი საჯარიმოს მისადგომებიდან ულამაზესი დარტყმით დაასრულა – 1:0. ეს გოლი მერებაშვილისთვის 50-ე გამოდგა „დინამოს“ მაისურით ეროვნულ ჩემპიონატში .

ამის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა აშკარა გახდა, თუმცა გოლამდე საქმე არ მისულა. თავის გამოჩენა შეეძლო დვალს და ვუოს, თუმცა ხან კვასხვაძე იყო მოწოდების სიმაღლეზე, ხანაც დარტყმა იყო უზუსტო.

მეორე ტაიმი 2 წუთის დაწყებული არ იყო, რომ ანგარიში გათანაბრდა, ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, გველესიანმა ვერ მოახერხა ბურთის მოგერიება, ხოლო კარის წინ დარჩენილ ქობალიას ლორიასთან გამკლავება არ გასჭირვებია – 1:1.

2 წუთში, ქობალიას კიდევ ერთი შანსი მიეცა, თუმცა ეფექტური კომბინაცია უზუსტო დარტყმით დაასრულა.

„ზესტაფონის“ კონტრშეტევები გაცილებით სახიფათო გახდა, რასაც მასპინძლებმა, მერებაშვილისა და გრიგალაშვილის შორეული დარტყმებით უპასუხეს, რომელიც ორივე შემთხვევაში კვასხვაძის ნადავლი გახდა. ხურცილავას ფლანგზე მორიგი აქტიურობა კი ვუოს არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

67-ე წუთზე მატჩში უდავოდ გამორჩეული ეპიზოდი ვიხილეთ, იმერელთა ახალწვეულმა, ადამიამ შორიდან გაისროლა, ბურთი უცნაური ტრაექტორიით წავიდა და საბოლოოდ ლორიას კარის ძელს მოხვდა – „დინამო“ აშკარად გადარჩა.

ხუთ წუთში გოლის გატანის მორიგი შანსი გაუშვა ხელიდან ჯაბა დვალმა, რომელიც საჯარიმოს მისადგომებთან რამდენიმე მცველს იოლად გაუსწორდა, თუმცა კვასხვაძემ ნახტომში არ დაანება გატანა ყოფილ თანაგუნდელს.

მალევე „დინამოს“ ფეხბურთელების შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად, ილია კანდელაკი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მომენტი უზუსტო დარტყმით განიმუხტა.

რაც უფრო ახლოვდებოდა მატჩის დასასრული, დედაქალაქელები მით უფრო ცდილობდნენ გოლის გატანას და სამი ქულის მოპოვებას. ორჯერ შეეძლო ამის გაკეთება შეცვლაზე შემოსულ დორინ გოგას, თუმცა ორივე შემთხვევაში მიზანმა მცირედით ულალატა.

მატჩზე დამატებული მესამე წუთი მიდიოდა, როდესაც დავით ხოჭოლოვას აქტიურობას ზესტაფონელი მცველების შეცდომა მოყვა, საბოლოოდ კი ახალგაზრდა ფორვარდმა ბურთი ჩისკოს გადააწოდა, ამ უკანასკნელმა უკვე მერამდენედ უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა მეტოქის კარში – 2:1.

## მატჩის შემდეგ

რატკო დოსტანიჩი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:

– მშვენიერი მატჩი გამოვიდა. „დინამო“ ძალიან კარგი გუნდია და პირველ ტაიმში ბევრი პრობლემაც შეგვიქმნა. მეორე ნახევარი უფრო კარგად დავიწყეთ, ანგარიში გავათანაბრეთ, მომენტებიც გვქონდა, რომელთა რეალიზება გვმართებდა, ისევე როგორც „დინამოს“. თუმცა მე უფრო ჩვენ გაფუჭებულ შანსებზე მწყდება გული.

**დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– იოლი არ იყო, ევროტურნირების დინამიკიდიან ჩემპიონატზე გადმორთვა. ორი შეცდომა დავუშვით და ერთში გოლი მივიღეთ. თამაშით უკმაყოფილო ვარ. ზოგადად რთულია, როდესაც მეტოქე 10 ფეხბურთელით თავს იცავს და კონტრშეტევებზე გეთამაშება. თუმცა მთავარია მოვიგეთ და ჩემპიონატი სამი ქულის მოპოვებით დავიწყეთ.

**სიონი (ბოლნისი) – დილა (გორი) 1:2 (1:1)**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 თოთაძე (11), 1:1, 1:2 დოლიძე (39, 77)

**სიონი:** მერლანი, სვანიძე, თოთაძე, ტვილდიანი, ფოფხაძე, განუგრავა, პარუნაშვილი (ჩივაძე 80), გოგობერიშვილი, ზვიად ლობჟანიძე, მიკუჩაძე (ცხადაია 70), ლ.ახალაია (უგულავა 75)

**დილა:** რევიშვილი, ალადაშვილი, კვახაძე, თომაშვილი, გურული, დოლიძე, მაისურაძე, ილურიძე (გორელიშვილი 82), მოდებაძე (სადაღაშვილი 17), ხიზანეიშვილი, დიასამიძე (ბოლქვაძე 46)

საკმაოდ საინტერესო მატჩი გამოდგა. ბოლნისელები მიმდინარე სეზონისთვის გამოცდილი ფეხბურთელებით მოძლიერდნენ და ამბიციებიც გაუჩნდათ, „დილა“ კი მოგეხსენებათ წლევანდელ ევროტურნირებზე შესანიშნავად თამაშობს და მიზნად ჩემპიონობა დაუსახავს. და მაინც გორელებს გაუჭირდათ.

ანგარიში ბოლნისელებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ „ჰაიდუკთან“ მატჩის გმირმა გრიგოლ დოლიძემ ორჯერ გაიტანა და „დილას“ მომდენო მატჩის წინ ხალისიანი განწყობა შეუქმნა.

**ზუგდიდი – ჩიხურა (საჩხერე) 1:3**

**ზუგდიდი.** განმუხური

0:1 ჭელიძე (12), 1:1 ეხვაია (51), 1:2 ტატანაშვილი (79), 1:3 წინამძღვრიშვილი (90)

**ზუგდიდი:** მამალაძე, აქუბარდია, კანკია (რიგვავა 64), ხუბუა, აფაქიძე, კ.ახალაია, წურწუმია, ჭრელაშვილი (კუკავა 46), სიხარულია, გუგუჩია (პაჭკორია 82), ეხვაია

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ჭელიძე, ქიმაძე (ლომაშვილი 61), გაბედავა (დეკანოიძე 61), წინამძღვრიშვილი, ჩიკვაიძე, დათუნაიშვილი (ტატანაშვილი 75), ბეჭვაია, კაშია, ოდიკაძე, რეხვიაშვილი

ზუგდიდურ გუნდში პრობლემები არასდროს ილევა და წელსაც თითქმის მოუმზადებელი შეხვდა სეზონს. ეგ კი არა, მწვრთნელიც ბოლო დროს დაუნიშნეს. თუმცა, მასპინძლებმა მაინც იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი გააწყვეს.

ანგარიში ლაშა ჭელიძემ გახსნა, რომელიც მასპინძლებმა მეორე ტაიმში კი გაათანაბრეს, მაგრამ ტატანაშვილმა და წინამძღვრიშვილმა ზემო იმერლებს 3 ქულა მოუტანეს.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2.ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3.დინამო (თბ) | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4.დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5.მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 6.მეტალურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7.ტორპედო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 8.ზესტაფონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 9.სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 10.სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 11.ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 12.გურია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# შედეგები

## ფეხბურთი

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი (21)**

ყაზახეთი-სომხეთი .......................... 0:1

**ინგლისი. სუპერთასი**

მანჩესტერი-უიგანი ....................... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლესტერი-ლიდსი ........................... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-შტუტგარტი ....................... 3:2

შალკე-ჰამბურგი ............................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 2.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 3.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 4.ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 5.ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 6.მაინცი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 7.ვერდერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.შალკე | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 9.ჰამბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 11.ნიურნბერგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 12.შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 13.ბრაუნშვაიგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14.გლადბახი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 15.ფრაიბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 16.ვოლფსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| 18.ფრანკფურტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-კოტბუსი ................. 2:2

ზ.პაული-არმინია .......................... 0:1

აუე-ალენი ........................................ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-სენტ ეტიენი ........................ 0:1

გენგამი-მარსელი ........................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2.ვალანსიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3.მარსელი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 4.ნანტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.რენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.სენტ ეტიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.ლილი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 1 |
| 9.მონპელიე | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.ევიანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.სოშო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.რეიმსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 13.აიაჩო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14.ლორიანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.გენგამი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 16.ბორდო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.ბასტია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 18.ტულუზა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 19.ნიცა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| 20.პსჟ | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | -2 |

**შენიშვნა:**

*მონაკოს დაკლებული აქვს 2 ქულა; პსჟ-ს დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ფეინოორდი-ტვენტე ..................... 1:4

ალკმაარი-აიაქსი ............................ 3:2

გრონინგენი-უტრეხტი .................. 2:0

ვალვაიკი-ვიტესი ........................... 4:2

*ვიტესის მე-2 გოლი ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა*

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2.გრონინგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3.ჰერენვენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.ზვოლე | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 5.ტვენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 6.ვალვაიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 7.იგლზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 9.ვიტესი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 10.ალკმაარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 11.როდა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.უტრეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 13.კამბური | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 14.ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 15.დენ ჰააგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 16.ფეინოორდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 17.ერაკლესი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 18.ნაიმეგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰარტსი-ჰიბერნიანი ..................... 1:0

კილმარნოკი-სტ.ჯონსონი ............ 0:0

მოზერველი-აბერდინი ................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინვერნესი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2.აბერდინი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3.პატრიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.სტ.ჯონსონი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5.სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.მოზერველი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 7.კილმარნოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 8.დ.იუნაიტედი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 9.ჰიბერნიანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 10.სტ.მირენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 11.როსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 12.ჰარტსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | -12 |

**შენიშვნა:**

*ჰართს დაკლებული აქვს 15 ქულა*

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლოზანა ...................... 2:0

თუნი-ლუცერნი ............................. 1:1

ბაზელი-ციურიხი .......................... 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-აუსტრია ........................... 0:0

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-ვარეგემი .......................... 1:1

ანდერლეხტი-გენტი ....................... 4:1

გენკი-სტანდარდი ......................... 0:2

**თურქეთი. სუპერთასი**

გალათასარაი-ფენერბახჩე ..... 1:0(დდ)

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ზნოიმო-პლზენი ........................... 0:1

ლიბერეცი-იიჰლავა ...................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-შლიონსი .......................... 2:2

ლეხი-კორონა .............................. 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-ჰოვერლა ....................... 1:0

მეტალურგი(დ)-არსენალი ............ 2:0

დინამო-ჩერნომორეცი ................. 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-მიდტიულანდი ............. 1:3

ოლბორგი-ოდენსე ........................ 0:0

ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ........ 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-მილაბი .............................. 2:1

სირიანსკა-გიოტებორგი ............... 0:2

მალმიო-აიკი ................................ 1:0

ჰეკენი-ესტერი .............................. 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-სარპსბორგი ................ 3:1

ულფი-ტრომსო ............................. 2:1

სტრომგოდსეტი-რუსენბორგი ...... 2:2

ჰაუგესუნდი-ჰონეფოსი ................ 0:1

ვალერენგა-სტარტი ...................... 1:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-მიუპა ............................... 0:2

ვპს-ლახტი ................................... 3:1

ინტერი-ჰიკი ................................. 1:1

როვანიემი-მარიჰამნი .................. 0:2

ჰონკა-ტპს .................................... 2:1

**აშშ. მლს**

დალასი-ლოს ანჯელესი ................ 3:3

ჩივასი-კოლორადო ....................... 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-გრემიო ................................. 0:3

ინტერნასიონალი-ატლეტიკო(პ) ... 2:2

პონტე პრეტა-კრისიუმა ................ 3:1

პორტუგეზა-სან პაულუ ................ 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ვინ იქნება ქუთაისის ოპერის ახალი ხელმძღვანელი?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ღვევით აირჩიეს. ღია კენჭისყრით ბევრმა ვერ გაბედა მისი რეალური აზრის დაფიქსირება და იმის შიშით, რომ ჯავახიშვილი შესაძლოა მართლაც გახდეს სამხატვრო ხელმძღვანელი, ადგილების დაკარგვის შეეშინდათ. მე და კიდევ სამმა სოლისტმა დავგმეთ ეს კრება. რევაზ ჯავახიშვილი არ ესწრებოდა ამ არჩევნებს. ჩვენ არ ვიცით მისი სამოქმედო პროგრამა და არ ვიცით რისთვის მივეცით ხმა.

სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შემადგენლობა კულტურის სამინისტრომ ორიოდე კვირის წინ დაამტკიცა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას №03/119 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული, სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: ვასილ კიკნაძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი, კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი); ნოდარ გურაბანიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); გიორგი ცქიტიშვილი (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი); ნიკოლოზ წულუკიძე (თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი); ლაშა ჩხარტიშვილი (თეატრმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი); ირინა ღოღობერიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის პრეზიდენტი); მარინე (მაკა) ვასაძე (თეატრმცოდნე, კავშირის „კულტურა" დამფუძნებელი).

როგორც კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული:

„სარეკომენდაციო საბჭოს მიზანია კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის წარდგენა და პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი".

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „პროფესიული თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად კანდიდატურების მიღება 12 ივლისს გამოაცხადა:

„სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შესაქმნელად

საბჭოს მიზნები და ამოცანები – კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის კანდიდატთა დასანიშნად წარდგენა; სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი;

საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი;

საბჭოს წევრი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება.

საბჭო სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთაგან კონკურსის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს;

საბჭო უფლებამოსილია, სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატები შეარჩიოს იმ თეატრებშიც, რომელთა სამხატვრო საბჭოები მინისტრს დასანიშნად წარუდგენენ სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატებს;

კანდიდატთა გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით;

საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 4 წევრი მაინც;

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი;

საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი;

საბჭოს არ ჰყავს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომებს წარმართავს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

სამინისტროში საბჭოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს;

საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება.

ცალკეული ორგანიზაცია უფლებამოსილია, სამინისტროს წარუდგინოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) კანდიდატი. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. საბჭოს შემადგენლობაში, კანდიდატთა საერთო სიიდან, შევა ის პირველი 7 (შვიდი) კანდიდატი, რომლებიც, წარდგენის შედეგად, მიიღებენ თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ხმების უმრავლესობას (ერთი წარდგინება – ერთი ხმა);

ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტების მიზნით კანდიდატებს შეარჩევს მინისტრი;

საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა შეივსება ხმების უმრავლესობის მქონე მომდევნო კანდიდატით/კანდიდატებით.

კანდიდატთა წარსადგენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციის წერილობითი წარდგინება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

კანდიდატის სივი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით);

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი. კანდიდატურების წარსადგენად დოკუმენტაცია მიიღება 18 ივლისის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში" – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

კულტურის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი მისი მმართველობის სფეროში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში: სსიპ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი"; სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი; სსიპ ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

„პროფესიული სახელმწიფო თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.

სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე; განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით; თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით; საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით; უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით; უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას; ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს; თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს; შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან)."

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრალური და მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს (ორგანიზაციებს), რომელთაც გააჩნიათ საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და თეატრალური, ან მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებული პირებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით.

ცალკეულ საინიციატივო ჯგუფს და თეატრალური, ან მუსიკალური საქმიანობით დაკავებული იურიდიული პირებიდან პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს აქვთ მხოლოდ თითო კანდიდატურის, ხოლო სხვა იურიდიულ პირებს ც არა უმეტეს სამი კანდიდატურის წარდგენის უფლება არა უმეტეს სამ სხვადასხვა თეატრში (ცალკეულ თეატრში მხოლოდ ერთი კანდიდატურის).

ერთი და იგივე პირი შეიძლება, წარდგენილი იქნეს რამდენიმე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატად.

კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: წარდგინება მინისტრის სახელზე; კანდიდატის მიერ შედგენილი კონკრეტული თეატრის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა (2-5 გვერდზე); კანდიდატის ვრცელი შემოქმედებითი სივი თუ კანდიდატი პროფესიით რეჟისორი ან დირიჟორია, ბოლო პერიოდში განხორციელებული დადგმების ჩამონათვალი, ამონარიდები რეცენზიებიდან;

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი; კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

კანდიდატის ფოტოსურათი. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად და, ასევე, ელექტრონულად.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატებს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება.

საბჭოს წევრებს არა აქვთ კანდიდატთა წარდგენის და საინიციატივო ჯგუფებში მონაწილეობის უფლება.

ოპერისა და ბალეტის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა კანდიდატურების შერჩევისას საბჭო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს მუსიკალური ხელოვნების დარგში მინისტრის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებით.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2013 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში", – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

**ეკა ირემაშვილი**

## სიალა ქალმახელიძეს

სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა ჯანმრთელობა ნუ მოგიშალოს. გისურვებ მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს საყვარელი ძმის ოჯახთან და შენს კოლექტივთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი.





*ნანა შინაძე*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. ნავთობის საბადო კახეთში; 4. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 6. ველური ვარდი; 8. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 16. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 21. საარყე ტიკჭორა; 22. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. წიგნის, სტატიის მოკლე განმარტებითი ან შეფასებითი შინაარსი; 5. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 7. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 9. დიდი მდიდრული ოფისი, ბინა; 10. გემის სამზარეულო; 12. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 13. გერმანული ლუდი; 16. უბანი თბილისში; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე ფისოვანი ერთეული; 20. სტაფილოში არსებული ყვითელი ფერის პიგმენტი; 22. თვალის ფერადი გარსი; 23. ისტორიული ოლქი ინდოეთ-პაკისტანის ტერიტორიაზე; 24. რაიმეს შუაგული; 25. თეთრი ფერის ჭედადი ლითონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ბაირონი; 3. კრემლი; 4. პანიკა; 9. დოლი; 14. ელიბო; 15. კარეტა; 17. ლემა; 20. სკალპი; 22. რაგბი; 23. კატერი; 25. სიო; 26. ალღო; 27. კივი; 28. მარიონეტი; 29. სვია; 30. საია; 31. ინდივიდი.

**შვეულად:** 1. ბადე; 2. ირი; 3. კარაკასი; 4. ლა; 5. მაჩეტერო; 6. მინა; 7. პავიანი; 10. ლალი; 11. პედიატრია; 12. სოლიტერი; 13. ბალი; 16. კამათი; 18. ეგოისტი; 19. აკორდი; 21. პეანი; 24. რამპა.

### სკანვორდის პასუხები:

1. ბოა; 2. ლომერ; 3. სოლ; 4. ქოსა; 5. ირასეკი; 6. სკა; 7. ლაკმე; 8. ბენტლი; 9. სარი; 10. ბლუ; 11. არისა; 12. მედრესე; 13. ანტიგონე; 14. ნებრასკა; 15. ინა; 16. მედინა; 17. იკარიული; 18. ელვა; 19. გაიანე; 20. სია; 21. ლეი; 22. აიკიდო; 23. ანდეზიტი; 24. ანონა; 25. ტაეპი; 26. ურნა; 27. აშული; 28. შასლა; 29. ღიპი; 30. სილოვან; 31. ლა; 32. კარტახენა; 33. ოონი.

**სურათებზე:** სიენა მილერი; კლაუდიო მარკიზიო.

# 100 000 ადამიანს სურს სიცოცხლე მარსზე დაასრულოს

უკვე ასიათასმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მარსზე გაემგზავროს და სიცოცხლის ბოლომდე იქ იცხოვროს. თუმცა მათგან მხოლოდ ორმოცს გაუმართლებს. ექსპედიცია „მარს ვან პროჯექთ“ 2022 წელს სექტემბერში და 2023 წლის აპრილში განხორციელდება.

მარსზე ცხოვრების მსურველთაგან არჩეული 40 ადამიანი



2015 წლიდან სპეცმომზადებას გაივლის. სავარაუდოდ, მარსის კოლონზატორთა ცხოვრება პირდაპირ ეთერში იქნება გადაცემული და ერთგვარ რეალითი-შოუს სახეს მიიღებს.

პროექტი ექვსი მილიარდი დოლარი დაჯდება, რომლის ამოღებასაც მროექტის მესვეურები ტელეტრანსლირების განხორციელების უფლებისა და მარსიდან გამოგზავნილი ვიდეომასალის გაყიდვით აპირებენ.

„ჩვენ გვინდა შევქმნათ ისტორია, ისტორია იმისა თუ როგორ აითვისეს ადამიანებმა მარსი, დაარსეს იქ კოლონია და ეს ამბავი ვაჩვენოთ მთელს მსოფლიოს“, – აცხადებს პროექტის გენერალური დირექტორი ბას მარსი მეოთხე პლანეტაა სიშორით მზის სისტემაში. მას მეტსახელად „წითელი პლანეტა“ ჰქვია ღამის ცაზე შეფერილობის გამო. ორი თანამგზავრი ჰყავს – ფობოსი და დეიმოსი – მცირე და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სხეულები, შესაძლოა მარსის გრავიტაციაში მოქცეული ასტეროიდები იყოს. პლანეტაზე თვეების განმავლობაში ქარიშხლები მძვინვარებს. პლანეტის ფერი მოწითალო, სისხლისფერია. ეს ფერი ძველ ბერძენთა და რომაელთა წარმოდგენაში ომთან და სისხლის ღვრასთან ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ, ბერძნები და რომაელები ამ პლანეტას ომის ღმერთთან აიგივებდნენ. მარსზე დაშვების პირველი წარმატებული მისია, 1965 წელს მარინერ 4-მა განახორციელა, რომელიც 1964 წელს გაუშვეს დედამიწიდან.

პლანეტაზე არის წარმონაქმნები, რომლებიც მდინარის ამომშრალ კალაპოტს გვაგონებენ. ამ კალაპოტებში წყალი არ არის. პლანეტის ზედაპირზე უამრავი ჩამქრალი ვულკანის კერა და მეტეორიტული კრატერებიც შეინიშნება. მთა ოლიმპი, რიმელიც მარსზე მდებარეობს, ყველაზე მაღალი მთაა მზის სისტემაში – მისი სიმაღლე თითქმის 28 კილომეტრია.

დღე ღამის ხანგრძლივობა „წითელ პლანეტაზე“ თითქმის ისეთივეა, როგორც დედამიწაზე – 24 საათი და 39 წუთი. ყოველ 2 წელწადსა 50 დღეში ხდება ისე, რომ მარსსა და დედამიწას შორის მანძილი 78 მილიონი კილომეტრია. თუმცა 15 ან 17 წელიწადში ხდება ისეც, რომ ეს მანძილი 56 მილიონ კმ-მდე მცირდება.

2003 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს დროით შუაღამისას, მარსი ბოლო 60 000 წლის მანძილზე დედამიწას ყველაზე მეტად მიუახლოვდა: 55 758 006 კმ.

იქაურ ზამთარში ტემპერატურა მინუს 130 გრადუს ცელსიუსამდე ეცემა პოლუსებზე, ზაფხულში 0-დან 30 გრადუსამდე მერყეობს ეკვატორზე. ამერიკელების მიერ დაგეგმილი ექსპედიციით, პირველი ადამიანი დაეშვება მარსზე.

# ისრაელი იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაელთათვის კიდევ ათას საცხოვრებელს ააშენებს



რადიო „თავისუფლების“ ცნობით, ისრაელმა განაცხადა, რომ ებრაელი მოსახლეებისთვის ათას ახალ საცხოვრებელ სახლს ააშენებს იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და აღმოსავლეთ იერუსალიმში.

ეს განცხადება გაკეთდა სამი დღით ადრე, ვიდრე ისრაელი და პალესტინელები მათ შორის ხანგრძლივი კონფლიქტის მოსაგვარებლად მოლაპარაკებებს განაახლებენ.

პირდაპირი მოლაპარაკებები შეწყდა 2010 წელს ახალი საცხოვრებლების მშენებლობის მიზეზით. ისინი სამწლიანი პაუზის შემდეგ ახლახან განახლდა ვაშინგტონში. პალესტინელები მოლაპარაკებას დათანხმდნენ იმ პირობით, რომ ისრაელი საპატიმროდან გაუშვებდა 100 პალესტინელ პატიმარს. ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ათეულობით დასახლებაში, ნახევარი მილიონი ახალმოსახლე ისრაელი ჩასახლდა.

გაეროს მირ მიღებული პალესტინის გაყოფის გეგმის მიხედვით, დასავლეთი სანაპიროს უდიდესი ნაწილი პალესტინის არაბული სახელმწიფოსათვის არის განკუთვნილი.

# ვლადიმერ პუტინი ბაქოს ეწვევა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 13 აგვისტოს აზერბაიჯანს სამუშაო ვიზიტით ეწვევა. „რია ნოვოსტის“ ცნობით, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ერთად იგეგმება რამდენიმე ორმხრივი შეთანხმის გაფორმება, მათ შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის საკითხებში.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის იური უშაკოვის ინფორმაციით, ამ ვიზიტის ფარგლებში მოხდება პრაქტიკულად ყველა ორმხრივი საკითხის განხილვა.

მისივე თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ნოვაკი და სხვები.

ვლადიმერ პუტინის ბაქოში ვიზიტისას ქალაქის პორტში მეგობრული ვიზიტით შევლენ კასპიის ფლოტის რუსული გემები.

სხვა საკითხებთან ერთად პრეზიდენტები საერთაშორისო და რეგიონულ საკვანძო საკითხებს, კასპიის ზღვრის სამართლებრივ რეჟიმს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებს განიხილავენ.

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერ ალექსანდრე დუგინის განცხადებით, „თუ ალიევს სურს, ბედკრული პროამერიკული რეჟიმების გზით წავიდეს, სააკაშვილის, მურსის და ერდოღანის მსგავსად, მაშინ ეს მოსკოვს არ აწყობს“.

როგორც დუგინმა „ვესტი.აზთან“ ინტერვიუში განაცხადა, ამჟამად, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში რთული პერიოდია და იგი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს.

„ვფიქრობ, არსებულ სიტუაციაში აზერბაიჯანის პოზიცია გარკვეულწილად შეიცვლება, რამდენადაც რეგიონში ძალთა გადანაწილების კონტექსტი იცვლება. ახლა ბაქოს თავად ცხოვრება უჩვენებს, რომ კიდევ ერთი მოლაპარაკებები ამერიკასთან, კიდევ ერთი მცდელობა როგორღაც დაუახლოვდეს დასავლეთს და ეს სიტუაცია აზერბაიჯანზეც გავრცელდება. ვფიქრობ, რომ პუტინს ალიევთან სერიოზული საუბარი მოუწევს, რადგან სიტუაცია უნდა გაირკვეს. თუ ალიევს სურს, ბედკრული პროამერიკული რეჟიმების გზით წავიდეს, სააკაშვილის, მურსის და ერდოღანის მსგავსად, მაშინ ეს მოსკოვს არ აწყობს. სხვათაშორის, იგივე შეიძლება, ითქვას სომხებზეც: თუ ერევანს დასავლეთთან ლაქუცი სურს, მაშინ ჩვენ სხვანაირად საუბარიც შეგვიძლია“, – აცხადებს დუგინი.

მისივე თქმით, „იმის ფონზე, რომ ამერიკულმა პოლიტიკამ რეგიონში კრახი განიცადა და ირანში პრეზიდენტი შეიცვალა, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში ტონი უნდა შეიცვალოს“.

„ბაქომ უნდა გაიგოს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი არა აშშ და თურქეთი, არამედ სწორედ რუსეთია. თუ რუსეთი ამ ურთიერთობებში საკუთარ პოლიტიკას შეცვლის, ამან შესაძლოა, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ისტორიას წერტილი დაუსვას. ალიევმა არჩევანი უნდა გააკეთოს: ვისთან და როგორ დაამყაროს სამომავლო თანამშრომლობა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი აზერბაიჯანის მიმართ დიდი სიმპათიითაა განწყობილი, ჩვენ გვჭირდება ის როგორც მეგობრული და მოკავშირე სახელმწიფო“, – განაცხადა დუგინმა.

მისივე განცხადებით, „ვლადიმერ პუტინისა და ილჰამ ალიევის შეხვედრა უაღრესად მეგობრულ ვითარებაში ჩაივლის, თუ მასზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი იტყვის: მორჩა, ჩვენ დავივიწყეთ აშშ“.

როგორც დუგინმა ინტერვიუში განაცხადა, პუტინთან საუბარში აშშ-ის ფაქტორის გათვალისწინება საჭირო არ არის.

„არ ვამბობ, რომ საერთოდ არ უნდა გავითვალისწინოთ. რა თქმა უნდა, საჭიროა, თუმცა არა პუტინთან საუბრისას. და მაშინ ისეთი საუბარი იქნება, როგორც არასდროს. ამიტომ, მოვუწოდებ, ადამიანებმა ძველი შტამპი ახალ პირობებში ინერციით არ გადმოიტანონ. ეს აზერბაიჯანისთვის მეტისმეტად აუცილებელია. თუ საუბრისას ორი სახელმწიფოს ლიდერები აშშ-ს არცერთხელ არ ახსენებენ, მაშინ შეხვედრის ბოლოს, ყველა სრულიად სხვა პუტინს დაინახავს. ასევე დაინახავთ სულ სხვა რუსეთს, დიახ, ძლიერს, საკუთარ ინტერესებზე მზრუნველს, რომელიც რეგიონალურ ჰეგემონიაზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ მარტო ჩვენ ამ როლს ვერ შევასრულებთ. ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებელი მოკავშირეები და პარტნიორები, რომლებთან ერთადაც ევრაზიულ პოლიტიკას ავაშენებთ. აი, მაშინ ყარაბაღის შესახებ საუბარიც შეიძლება“, – განაცხადა დუგინმა.

ამასთან, მისივე აზრით, აშშ-სა და ევროკავშირთან ერთად აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ისრაელიც არ უნდა ახსენოს.

„ბაქოში ამჟამად დიდი რაოდენობის უსარგებლო ებრაელია. ვფიქრობ, რომ პუტინის ჩასვლისთვის მათი დეპორტაცია უნდა განხორციელდეს, რათა მშვიდ და თბილ ატმოსფეროს ხელი არ შეუშალონ. ისრაელი ამჟამად რეალურად, რუსეთთან ომისგან არც ისე შორს არის, მას შემდეგ, რაც დამასკო დაცხრილა. პუტინს ამ ქვეყნის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეეცვალა, ამიტომ, ვფიქრობ, ბაქოში ისრაელის აგენტების ყოფნა ორი ქვეყნის ლიდერების თბილი შეხვედრისთვის ხელსაყრელი არ იქნება“, – აცხადებს დუგინი.

?მ ფონზე, აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოქმედი პრეზიდენტის ილჰამ ალიევის კანდიდატურა აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაარეგისტრირა. საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

# ედვარდ სნოუდენის მამამ რუსეთში ჩასასვლელი ვიზა მიიღო



აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენის მამამ რუსეთში ჩასასვლელი ვიზა მიიღო. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, ლონ სნოუდენი, უახლოეს დღეებში შვილის სანახავად რუსეთში ჩაფრინდება.

„როგორც მამას, მინდა, რომ ჩემი შვილი სახლში დაბრუნდეს. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავრწმუნდები, რომ მართლმსაჯულების სისტემა ისე მოქმედებს ყველა ამერიკელისთვის, როგორც უნდა მოქმედებდეს. თუმცა, როდესაც ჩვენი ლიდერებისა და კონგრესმენების განცხადებებს უსმენ, ისინი ყოვლად უპასუხისმგებლოა და ყოვლად შეუსაბამო კანონთან“, – განაცხადა სნოუდენის მამამ.

ცოტა ხნის წინ, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ედვარდ სნოუდენს სასამართლოში გამოცხადება და საკუთარი პოზიციის დაცვა მოუწევს.

„სნოუდენი პატრიოტი არ არის. თუკი ის თავის თავს მართლად თვლის, მაშინ თავის ადვოკატთან ერთად სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს და საკუთარი პოზიცია დაიცვას“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

სადაზვერვო სამსახურის საქმიანობის გასაჯაროების შემდეგ, ედვარდ სნოუდენი აშშ-დან გაიქცა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის აეროპორის სატრანზიტო განყოფილებაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც რუსეთში დროებით ცხოვრების უფლება მიიღო. ამის გამო ბარაკ ობამამ მოსკოვში პუტინთან პირად შეხვედრაზე უარი განაცხადა და ურთიერთობაში იძულებითი პაუზის მიზეზად განაცხადა, რომ ეს მხოლოდ „სნოუდენის ფაქტორით“ არ არის განპირობებული.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ყოფილი მე-6 ვაჟთა საშუალო სკოლელები – ირაკლი მეგრელაძე, ანზორ მაისურაძე, ქუჩი სხირტლაძე, ჟორა სიხარულიძე, ნუგზარ იზორია, ელდარ ფხაკაძე, ილო ჯაჯანაშვილი მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა სკოლის მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი, ქალაქის კოლორიტი

**თამაზ გოგავა**

და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

ბიძაშვილები თენგიზ, ფეფო, სვეტა, ნაზი, ზოია გობეჩიები ოჯახებით, მამიდაშვილები ლენიკო, როინ, რეზო შენგელიები მწუხარებით იუწყებიან

**მერაბ გობეჩიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 17 აგვისტოს, ჩხოროწყუ, ჯუმითი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 13 აგვისტო**

**08.00** დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" **09.30** საბ. მხ/ფ "**უკანასკნელი მიზეზი**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**დაუვიწყარი მოგზაურობა**" **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** მხ/ფ "**ოპერაცია "მფრინავი**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **1** ნაწ. **14.00** დ/სერ. "ლეონარდო და ვინჩი" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **2** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **9** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: ვია "**75**" **2** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **8** სერ. **00.15** მხ/ფ. "**მფრინავი ხანჯლების სახლი**" (ე.ლაუ)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR AND THE REVENGE OF" **10.00** სერ. "**სიყვარული მევენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **14.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** გაცინე და მოიგე. **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** სპექტაკლი - "**ბამბაზიის სამოთხე**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი **10.55** დოკ/ფ "ახალმოწამე" გრიგოლ ფერაძე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **15.30** დოკ/ფ "დავით გარეჯი" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" თ. გვანცელაძე - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები **23.45** განთიადის სიუჟეტი - იური ანუა **00.25** ისტორიის დღიური **00.35** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **19.00** **სერიალი** "**1001 ღამე**" **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05, 14.10, 20.00** **სერიალი - "ტკბილი სხამი"** **11.05, 16.10, 7.00** დოკ/ფ **12.30** **სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს"** გამ **13.10, 5.00** ცხელი შუადღე **15.30, 17.10** დოკ/ფ "არქიტექტურა" **17.30** როგორ - "შევხვდი დედაშენს" **18.00, 1.50** ღია თამაში **23.00, 0.20** მხ/ფ **3.50** მთავარი კითხვა.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 აგვისტო


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6600
ევრო — 2,2201
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5775
100 რუსული რუბლი — 5,0516

**ამინდის პროგნოზი 13 აგვისტოსთვის**





# მალე! მალე! მალე!

**ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება**

## „შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


# სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტით ემუქრებიან



სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე 6 თვით ადრე მის მიმართ ახალი ნეგატიური ტალღა აგორდა. მიზეზი კი რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული კანონია, რომელიც ქვეყანაში გეი-პროპაგანდის აკრძალვას ეხება.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის იუსტიციის მინისტრმა საბინა ლოიტჰოისერ-შნარენბერგერმა აღნიშნა, რომ ეს კანონი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას ეწინააღმდეგება და თუ რუსეთი არ შეასრულებს საერთაშორისო-სამართლებლივ ვალდებულებებს, მაშინ სპორტსმენებს ექნებათ უფლება, ბოიკოტი გამოუცხადონ სოჭის ოლიმპიურ თამაშებს.

გერმანელ მაღალჩინოსანს მხარი აუბა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პოპულარულმა ბრიტანელმა მსახიობმა სტივენ ფრაიმ:

– ოლიმპიადა სპორტულთან ერთად კულტურული ღონისძიებაცაა. ჩაატარეთ იგი ნებისმიერ სხვა ადგილას და არა სოჭში. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ვალდებულია ხისტი პოზიცია დააფიქსიროს ამ ბარბაროსული კანონის წინააღმდეგ, რადგან გეი სპორტსმენები თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ. მე გეი ვარ, თანაც ებრაელი. ჩემმა ოჯახმა ბევრი ნათესავი დაკარგა. არ მინდა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ და თავი დამცირებულად იგრძნონ. რუსეთის პოლიცია კი ასეთ ფაქტებზე რეაგირებას არ ახდენს. **მ. ჭ.**

# ირანის ვიცე-პრეზიდენტად პირველად ქალი დაინიშნა



ირანის პარლამენტის ყოფილი წევრი ელჰამ ამინზადე, სამართლებრივ საკითხებში ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. შესაბამის ბრძანებას ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა, ჰასან როუჰანიმ მოაწერა, ინფორმაციას „ფარს ნიუსი“ ავრცელებს.

ამინზადე ირანის ისტორიაში პირველი ქალი გახდა, რომელმაც ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ასეთი მაღალი პოსტი დაიკავა.

საკუთარი არჩევანი როუჰანიმ იმით ახსნა, რომ ამინზადე აუცილებელ სამეცნიერო ცოდნას, სასამართლო კვალიფიკაციას და საკანონმდებლო გამოცდილებას, ასევე მაღალ მორალურ ფასეულობს ფლობს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ვინ იქნება ქუთაისის ოპერის ახალი ხელმძღვანელი?

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სპეციალური საბჭო შექმნა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატურებს განიხილავს.**

ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრის დასმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კულტურის სამინისტროს საკუთარი კადრი უკვე შესთავაზა. ეს რევაზ ჯავახიშვილია, რომელიც ოპერის თეატრში მთავარი დირიჟორია. იგი ახალ ხელმძღვანელად ოპერის დასმა შიდა არჩევნებით შეარჩია.

„სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონში შესული ცვლილების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დაარსებულ თეატრებში ხელმძღვანელის თანამდებობა უქმდება და ეს ფუნქცია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გადაეცემა. რევაზ ჯავახიშვილს ოპერის დასი კულტურის სამინისტროში შექმნილ იმ კომისიაში უწევს რეკომენდაციას, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით არსებულ სახელმწიფო თეატრებში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელები მიმდინარე თვის ბოლომდე უნდა შეარჩიოს.

ოპერის თეატრის ხელმძღვანელი როზა დვალიშვილი იმერეთის საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ:

– რევაზ ჯავახიშვილი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა, კარგ ოჯახში აღზრდილია და მე მას სიამოვნებით ვაბარებ თეატრს. თვითონ ბატონ რეზოს უნდოდა, რომ დასის აზრი გაეგო, თორემ მას არ ჰქონდა იმის ვალდებულება, რომ დასისთვის ეკითხა. კანდიდატის წარსადგენად დასის მხარდაჭერა აუცილებელი არ არის. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენა ყველას შეუძლია. რევაზ ჯავახიშვილის შემთხვევაში კი შეეძლოთ დასის განწყობა საერთოდ არ ეკითხათ.



თუმცა რევაზ ჯავახიშვილის კანდიდატურას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მას ოპერის თეატრის სოლისტთა ნაწილი არ იწონებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ჯავახიშვილის არჩევნები დარღვევებით ჩატარდა. მათი თქმით, კენჭისყრა ღია იყო, რის გამოც დასმა საკუთარი პრეტენზიების ღიად დაფიქსირება ვერ შეძლო. ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრის სოლისტი სოფიო ბერიშვილი ამბობს:

– რევაზ ჯავახიშვილის შესარჩევად დაწესებულებაში შიდა არჩევნები წესის დარღვევით ჩატარდა. ის ოპერის დასმა ღია კენჭისყრის საფუძველზე დაახლოებით ერთი კვირისწინ აირჩია. კენჭისყრა ფარული უნდა ყოფილიყო. რევაზ ჯავახიშვილი ოპერის თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კადრი არ არის. გუნდის ხელმძღვანელობის სამი წლის განმავლობაში ჯავახიშვილს რაიმე ღირებული არ გაუკეთებია. მას არა აქვს დირიჟორის დიპლომი, რაც ამ თანამდებობისათვის აუცილებელია. ჯავახიშვილი კანონის დარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 13 აგვისტოსთვის

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ იზარმაცოთ. **ღრიანკალი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, არ გამოეთიშოთ საქმეს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **მერწყული** — მეგობრებისგან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 2. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 3. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი; 5. საქართველოს ნაკრებისა და საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ კალათბურთელი; 9. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 12. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 14. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები გრძელყელიანი გოგრისგან დამზადებული ჭურჭელი; 15. პატარა მდინარე; 17. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ბავშვი, ყმაწვილი.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი რეჟისორი, სცენარისტი; 8. სტადიონი მეხიკოში; 10. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. მგალობელი ჩიტი; 16. ინდიელებისა და ევროპეიდული რასის ქორწინების შთამომავალი; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. სავაჭრო საქმიანობა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




# რა ელის საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს?



**რა ბედი ელის საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს? ამ საკითხში გარკვევას საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია ითხოვს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია კი საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ:**

„მინისტრის გადაწყვეტილებით, პროფესორ ირინე ღამბაშიძის ხელმძღვანელობით, ქართულ-გერმანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციისთვის, ძეგლის სრული საველე შესწავლისათვის ვადა 15 სექტემბრიდან გაგრძელდა 1 ოქტომბრამდე“.

ობიექტის გადარჩენას ითხოვს „ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი“ და „ეროვნულ ძალთა გაერთიანება“. ამ უკანასკნელის ინიციატივით 13 აგვისტოს კულტურის სამინისტროსთან საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის ჩამორთმეული სტატუსის დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართება. აქცია ეროვნულ ძალთა გაერთიანების ორგანიზებით „კინოს სახლში“ მოწყობილ შეხვედრაზე დაანონსდა. შეხვედრაზე ნაჩვენები იყო პროფესორ ირინე ღამბაშიძის მიერ შედგენილი პრეზენტაცია. არასამთავრობო ორგანიზაცია „ძეგლის მეგობრის“ წევრმა სალომე ჭანტურიძემ კი საყდრისის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით:

– საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი წლების წინ, მაგრამ ახლა კულტურის მინისტრის ბრძანებით ჩამოერთვა. შედეგად დაიკარგება კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნიმუში, რომელსაც აქვს შანსი მოხვდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

კინოს სახლში შეკრებილი „ეროვნულ ძალთა გაერთაინების“ წევრებს მიაჩნიათ, რომ საყდრისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს იმსახურებს და რესპუბლიკის მასშტაბით საინფორმაციო კანპანიის ჩატარებასაც არ გამორიცხავენ. გაერთიანების წევრების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი მეცნიერებთან შეხვედრებს მოაწყობს და კამპანიაში რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჩააბამენ.

„ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ წევრის მირიან ფირცხალავას თქმით:

– ეს არის მცდელობა, განადგურდეს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობის ისტორიისათვის უნიკალური ძეგლი. გვინდა ხელისუფლებას მოვთხოვოთ პასუხისმგებლობა ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც იმ კომპანიებმა ჩაიდინეს ამ წლების განმავლობაში.

კულტურის სამინისტროსთან დაგეგმილ აქციაში მონაწილეები მიმართავენ კულტურის მინისტრს, რომ გააუქმოს მისი ბრძანება საყდრისისთვის კულტურული მემკვიდროების სტატუსის მოხსნის შესახებ.

– ჩვენ გვჯერა, რომ საყდრისი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესვლას იმსახურებს და ეს აუცილებლად მოხდება, – აცხადებენ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ წევრები.

პროფესორი ირინე ღამბაშიძე, რომელიც ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელია, საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტს იკვლევს. მისი განცხადებით იგი კაზრეთის პოლიციაში დაკითხვაზე იყო. მისი თქმით, მას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საყდრისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური შესწავლის ლიცენზიას არ აძლევს, ხოლო „ემ ერ ჯი გოლდმ“-მა პროკურატურაში უჩივლა. როგორც ცნობილია, საყდრისის მადნეულით მდიდა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე